მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(90) 2015 წ. 16-28 თებერვალი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კახეთის სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგიონული განვითარების სტრატეგია

2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განხორციელდება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. ქ. საგარეჯოს ერეკლე II- ის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარის მოწყობა,
2. ქ. საგარეჯოს თამარ მეფის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარის მოწყობა,
3. სოფელ მანავის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია,
4. ქ. საგარეჯოს კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშო ბაღის რეაბილიტაცია,
5. სოფელ ხაშმში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია,
6. სოფელ გომბორში არსებული საბავშო ბაღის რეაბილიტაცია,
7. სოფელ ბადიაურში ასფალტის საფარის მოწყობა,
8. სოფელ გიორგიწმინდაში ასფალტის საფარის მოწყობა,
9. სოფელ კაკაბეთში ასფალტის საფარის მოწყობა,
10. სოფელ წყაროსთავსა და „აჭარლების უბანში“ 4 ჭაბურღილის მოწყობა,შიდა ქსელის მოწესრიგება.
11. სოფელ პატარძეულში ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა.

ახალმშენებლობაზე

ლამბალოში სკოლის მშენებლობაზე

განათლებისა *და მეცნიერების მინისტრმა* თამარ სანიკიძემ და ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა* გიორგი გზირიშვილმა** სოფ. ლამბალოში მშენებარე სკოლის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

სოფელ ლამბალოში სკოლის ძველი შენობა 2006 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. სოფლის 1000-ზე მეტი მოსწავლე ოჯახებში მოწყობილ საკლასო ოთახებში სწავლობენ. სკოლა რამდენიმე ნაქირავებ შენობაშია განთავსებული. სასწავლო ობიექტები ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. მოსწავლეებს რთულ პირობებში უწევთ სწავლა.

სკოლის დირექტორის , დავით როსტომაშვილის განმარტებით, ლამბალოს საჯარო სკოლაში ორი სექტორია: ქართული და აზერბაიჯანული. ქართულ სექტორზე მხოლოდ 80 მოსწავლეა, 935 მოსწავლე აზერბაიჯანულენოვანია, 70 პედაგოგიდან 25 მასწავლებელი ქართველია, დანარჩენები კი აზერბაიჯანელები არიან.

მომავალი სასწავლო წლიდან ლამბალოელი მოზარდები თანამედროვე სკოლის შენობაში ისწავლიან

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი გზირიშვილმა**, მისმა მოადგილეებმა **გიორგი რევაზიშვილმა**, **დავით ივანიშვილმა** და გამგეობის თანამშრომლებმა ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, გამგეობის შენობასთან სახელმწიფო დროშები დაუშვეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში 12 თებერვალს შემოიჭრა. რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ. მე-11 არმიას იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდეც უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედეგად იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა.

23 თებერვალს კოჯრისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. მებრძოლ იუნკერებს სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.

კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკერები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. იქ, სადაც ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის შედეგად დაანგრიეს.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს მთავრობას ყოველ 25 თებერვალს, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომლებიც "კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს გამოასალმა", დაუშვას სახელმწიფო დროშები და გამოცხადდეს წუთიერი დუმილი.

25 თებერვალს საზეიმო ღონისძიებები შეზღუდულია. მართლმადიდებლურ ტაძრებში კი გმირების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები სრულდება.

გვერდი მოამზადა
ლია კოხტაშვილმა

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 თებერვლის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ზრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან საკრებულოს წევრებს დღის წესრიგი გააცნო. კენჭისყრის შემდეგ დღის წესრიგის I საკითხზე „ბორის ჩართოლანის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მეზვრიშვილმა.*** ბორის ჩართოლანი საკრებულოს წევრად შეყვანილია საკრებულოს წევრის გიორგი კაკუტაშვილის ადგილზე, რომელსაც პირადი განცხადების საფუძველზე წინა რიგგარეშე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეუწერდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში (მომხსენებელი ალექსანდრე მეზვრიშვილი), ასევე საკრებულოს გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ***(მომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი თინათინ ძაბილაშვილი).***

მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასის და წლიური საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“ საკრებულოს წევრების წინაშე წარმოადგინა ***გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა*** **ბიორგი ძურდოვანიძემ**. მანვე წარმოადგინა საკითხები „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესის დამტკიცების შესახებ“, „აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“.

ცვლილება იქნა შეტანილი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №123 განკარგულებაში ***(მომხსენებელი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქონების აღრიცხვის დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ბოჩა ჩერძეზიშვილი).***

საკრებულოს წევრებს საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის მქონე კომპანიიდან გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული 2015 წლის მარტის თვის საწვავის 6500 (ექვსიათასხუთასი) ლიტრი ევრორეგულარის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“, გააცნო ***გამგეობის შესყიდვების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა*** **ნიკოლოზ ბუზარიაშვილმა.**

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავში დაზიანებულ შემკრებ რეზერვუარამდე წყლის ამქაჩი ტუმბოს შეძენის, დემონტაჟისა და მონტაჟისთვის საჭირო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“ საკითხზე ისაუბრა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების გამგემ*** **ბექა ფეიქრიშვილმა.**

საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაზიანებული ტრაქტორის ქალაქ საგარეჯომდე ტრანსპორტირებისათვის საჭირო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“ გააცნო **ბიორგი ძურდოვანიძემ.**

„ქ. საგარეჯოში გიორგი ბრწყინვალეს ქ. №8-ში მცხოვრები ივანე დოლმეზაშვილის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლის ნუმერაციის შესახებ“ საკითხის ირგვლივ ისაუბრა ***საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ*** **ელდარ მეფარიძემ.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

საირიგაციო სისტემის კეთილმოწყობისათვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 17 თებერვლის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **ბიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე მოსმენილ იქნა ზეპირი ინფორმაციები გამგებლის წარმომადგენელთა მიერ სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ. გარკვეული დრო დაეთმო თითოეულ სოფელში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისა და დასუფთავების საკითხს. აღმოჩნდა, რომ კვლავაც მტკივნეულ თემას წარმოადგენს მოსახლეობის მიერ ხევებსა და სოფლების შესასვლელებში თვითნებურად გაკეთებული ნაგავსაყრელები, რომლებიც გარეგნულ იერ-სახის დაკარგვის გარდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევასაც იწვევენ. თათბირზე საუბარი იყო მცირემიწიან ფერმერთა და გლეხთა საგაზაფხულო დახმარების პროგრამაზე, რომელმაც გლეხი მიწას დაუბრუნა, დაინტერესა მიწის დამუშავებით. გასული შემოდგომის პერიოდში ყურძენზე ფასების მომატებამ კი ბევრ გლეხს კვლავ ვენახის გაშენებისა და მოვლისკენ უბიძგა – დამუშავდება ვენახის გასაშენებლად მიტოვებული უამრავი ადგილები, კაკაბელები კი აღარ დაელოდნენ სოფლის მხარდაჭერის პროექტებს და მათ ზამთარშივე თავიანთი ხარჯებით მოაწესრიგეს სავარგულებამდე მისასვლელი გზა, რადგან იციან ბრძენის ნათქვამი: „გაზაფხულის ყოველი დღე შემოდგომის დღეებს კვებავსო“. გაზაფხულდება და საგაზაფხულოდ უამრავი საქმე იქნება.

როგორც გამგებლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სოფლების მოსახლეობას, მცირემიწიან გლეხებსა და ფერმერებს დიდი სურვილი აქვთ საირიგაციო სისტემის რწყვის სეზონისათვის აქედანვე მოწესრიგებისა. მათგან უმეტესობამ მუნიციპალიტეტის გამგებელს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კახეთის რეგიონული ფილიალის საგარეჯოს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელობასთან უახლოეს თათბირზე შეხვედრა და მათთან ერთად არსებული პრობლემების მოგვარების გზების დასახვა სთხოვა.

გაზაფხული მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას მოგვთხოვს

24 თებერვალს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **ბიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. გამგებლის წარმომადგენელთა მიერ თათბირზე წარმოდგენილი ზეპირი ინფორმაციებიდან გამომდინარე, კვლავ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მთელ რიგ სოფლებში სასმელი წყლის რეზერვუარებისა და საერთოდ, სისტემის მოწესრიგებას. როგორც გიორგი გზირიშვილმა აღნიშნა, ისეთ წყალუხვ სოფელში, როგორიც თოხლიაურია, მოსახლეობა სასმელი წყლის დეფიციტს არ უნდა უჩიოდეს. მართალია, ტყეები გაკაფულია, რის გამოც წყალი დაიკარგა, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოსახლეობის მხრიდან წყლის არამიზნობრივ ხარჯვასა და მოძველებული, კოროზირებული სასმელი წყლის სისტემასთან. სწორედ ამის გამოც ხდება იმ მარაგის დაკარგვა, რომელიც დღესდღეობით ტყეს გააჩნია. ძნელი არ არის ჭაბურღილის გაკეთება, მიუხედავად დიდი ხარჯებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ მოხერხდება მთლიანი უბნების წყლით მომარაგება. საქმე გვაქვს წყლის დებეტის წლის ამ დროისათვის კლებასთან, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბოლო ორ ათეულ წელში უმოწყალოდ გაჩეხილი ტყე ბევრ საფიქრალს გვიჩენს. ყოველივე ეს კი საბოლოო ჯამში მოსახლეობას უქმნის არა მარტო ყოფით პრობლემებს. გაზაფხული კარსაა მომდგარი, ვენახებსა და ველ-მინდვრებში მოძალებული სამუშაოები კი სასმელი წყლის პრობლემას უფრო მწვავეს გახდის. ამასთან, მოსაწესრიგებელია სასოფლო გზები, ჭუჭები. მოსახლეობის აქტიური ჩართულობით უნდა მოვახერხოთ და მოვაწესრიგოთ სასმელი წყლის სისტემის გამართულობაც და საუბნო გზებიც, ასევე, სავარგულებამდე მისასვლელი გზებიც.

თათბირზე იმსჯელეს სხვა საკითხებზეც და არსებული პრობლემების მოგვარების გზებზეც.

თათბირს ესწრებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღსარიცხავად

„სამუშაო ჯგუფია“

გასული წლის ნოემბერში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქონების აღრიცხვის დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის თავმჯდომარედ საკრებულოს წევრი **ბოჩა ჩერძეზიშვილი** აირჩიეს. ჯგუფის წევრებად დასახელდნენ: ალექსანდრე მეზვრიშვილი, ელდარ მეფარიძე, ნიკოლოზ ვაჭრიშვილი, მევლუდ დუჩიძე. ასევე ამავე ჯგუფში მოწვეული იყვნენ საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე შალვა კრიხელი, მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტები გია ბუჩაშვილი და რომან სურმანიძე.

სამუშაო ჯგუფს დაევალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა მუნიციპალური ქონების აღრიცხვა. აღნიშნული დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის გოჩა ჩერქეზიშვილის თქმით, ჯგუფმა მუშაობა მოცემულ ვადაში – 3 თვეში, მუნიციპალიტეტის მთლიანი მასშტაბით ვერ შეძლო, უბრალო ობიექტური მიზეზების გამო – მთელი სიზუსტით აღწერისათვის ეს ვადა არ ეყოფოდათ, ამიტომ ვერ მოხერხდა ქ. საგარეჯოსა და თემებში: იორმუღანლოს, ლამბალოს, თულარის, დუზაგრამის ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა.

– ბ-ნო გოჩა, ყველასათვის ცნობილია, რომ თქვენი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შესრულებული დავალება საკმაოდ საპასუხისმგებლო და შრომატევადია, მოითხოვს სიზუსტეს, სიფრთხილეს, დაკვირვებას...

– გეთანხმებით. ჩვენ ჩვენს მუშაობას წარვმართავთ მოძიებულ დოკუმენტებსა და რეალობასთან შედარებით. საგარეჯოს საჯარო რეესტრიდან და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურიდან ამოვიღეთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დოკუმენტაცია და შევისწავლეთ თითოეულ სოფელში არსებული (გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თემების) სასოფლო-სამეურნეო მიწები, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, შენობები. მართალია წინა მოწვევის საკრებულომ შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შეისწავლა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ქონება-ინვენტარი, მაგრამ ეს მთელ ერთ წელიწადს გაგრძელდა, რადგან გარკვეულ ვადებს მოითხოვს თითოეული საბავშვო ბაღის, კულტურის თუ სპორტულ ობიექტებში არსებული ქონების აღწერა, მაგრამ არც ჩვენი დავალება იყო ადვილად შესასრულებელი...

– როგორ ფიქრობთ, რამდენად სიზუსტით მოახერხეთ ამ დავალებისათვის თავის გართმევა?

– ვფიქრობთ და ეს ჩვენი საბოლოო შედეგიდანაც ჩანს, რომ ჩვენ ეს შევძელით.

– მუშაობის პერიოდში თუ იყო რაიმე შეუსაბამობა დოკუმენტაციასა და რეალობას შორის?

– რაოდენ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს, ეს იყო. ასე, მაგალითად, დოკუმენტაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის ქონებად ითვლებოდა უდაბნოს სასოფლო კლუბის შენობა, რომელიც ფაქტობრივად წლებია აღარ არსებობს. მის ადგილას მხოლოდ შენობის ნაწილ-ნაწილ დაშლით დარჩენილი ნარჩენების გროვაა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იყო შეტანილი თოხლიაურის სასოფლო კლუბი, რომელიც წლებია თოხლიაურის საბავშვო ბაღის ერთ-ერთ ფლიგელშია და აღნიშნული შენობა კი წლებია თავის პირვანდელ სახეს – სატრაპეზოს იბრუნებს.

– თქვენს სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილება გაუგრძელდა. რით დაიწყებთ მუშაობას?

– დიახ, ჩვენი სამუშაო ჯგუფი საკრებულოს წინაშე თავისი ანგარიშით წარსდგა 12 თებერვალს, სადაც ვითხოვეთ ჩვენი უფლებამოსილების გაგრძელება მოცემული დავალების ბოლომდე მისაყვანად და ჩვენ გაგვიგრძელდა მუშაობის ვადა – 3 თვით. მოგეხსენებათ, არც საგარეჯო მოიცავს პატარა ტერიტორიას და არც აზერბაიჯანელებით დასახლებული ოთხი თემის სოფლები. ასე, რომ მუშაობას ჩვენ ვადის გაგრძელების დღიდანვე შევუდექით და ჯერ ქ. საგარეჯოს ტერიტორიაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვით დავიწყეთ.

– წარმატებებს გისურვებთ!

– გმადლობთ!

სოფლის საბაზაფხულო პროგრამა მოქმედებაში

ბარათი 1 დეკემბრამდეა ძალაში



წინა წლების მსგავსად საქართველოს მთავრობა მიმდინარე წელსაც აგრძელებს სოფლის მცირემიწიან გლეხთა და ფერმერთა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამას. თებერვლის დადგომამდე მუნიციპალიტეტში უკვე შემოსული იყო სასოფლო-სამეურნეო ბარათები ბენეფიციარებისათვის დასარიგებლად. თუ რა სტადიაშია მოსახლეობის მიერ „ვაუჩერად“ შერქმეული სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების საქმე, ანდა რამდენად იყენებენ უკვე მიღებულ ამ ბარათებს მოსარგებლეები, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი*** **ბიბი ათაბეგაშვილი**.

— ბ-ნო გივი, ჩვენი მოსახლეობა იმდენად შეეგუა და მიეჩვია ქვეყნის მთავრობის მიერ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში აღნიშნულ დახმარებას და შეღავათებს, დააბინავეს თუ არა შარშანდელი მოსავალი, იმის მერე მოუთმენლად მოელოდნენ ახალი სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას. და აი, თებერვლის დასაწყისიდან ამ ბარათების დარიგებაც დაიწყო. წელს სულ რამდენი ბენეფიციარი ისარგებლებს ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ სიკეთით?

— მიმდინარე წლისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბარათების მიმღები 13064 ბენეფიციარია აღრიცხული, აქედან 8032 ისეთი ბენეფიციარია, რომლებსაც გააჩნიათ 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე სახნავი ფართობი და მიიღებენ მოხვნის ბარათებს, 5089 ბენეფიციარს კი მფლობელობაში გააჩნია 0.25 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობი და მათ გადაეცემათ აგრობარათები, რომლის მიღებასაც ისინი ლიბერთი ბანკის საგარეჯოს ფილიალში შეძლებენ.

— რამდენადაც ცნობილია, მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები ახორციელებენ ბენეფიციარებზე ამ ბარათების გადაცემას. უკვე დასრულდა თუ არა მათი დარიგება?

— არა, ჯერჯერობით ეს პროცესი არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება. 18 თებერვლის მდგომარეობით მთლიანად მუნიციპალიტეტში დარიგებულია 4091 სასოფლო-სამეურნეო ბარათი, საიდანაც უკან დაბრუნდა 512 ბარათი. დასარიგებელი დარჩა კიდევ 3941 ბარათი.

— სულ რამდენი ჰექტარი მიწა მოიხვნება აღნიშნული ბარათებით წელს მუნიციპალიტეტში?

— სასოფლო-სამეურნეო ბარათების გამოყენებით წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთლიანობაში მოიხვნება 6133 ჰა მიწის ფართობი. აქედან შემოდგომით უკვე მოიხნა 1240 ჰა მიწა, მ.შ. შარშანდელი ბარათის მეშვეობით 584 ჰა.

— წელს დარიგებული ბარათებით თუ მოიხნა ნაკვეთები?

— კი, როგორ არა. საგარეჯოს ზონაში შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს ფილიალს უკვე მოხნული აქვს 20 ჰა მიწა და რომ არა თოვლი და ნალექები, ამ სამუშაოების შესრულებას კაკაბეთისა და ბადიაურის შესაბამისი ფილიალების მექანიზატორებიც დაიწყებდნენ.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ სხვადასხვა მიზეზებით, ზოგიერთმა ბენეფიციარმა ვერ შეძლო სასოფლო-სამეურნეო ბარათების მიღება. როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში ისინი?

— ასეთი ადამიანების სიები რამდენჯერმე უკვე გადაეგზავნა ჩვენს სამინისტროს შესაბამისი ზომების მისაღებად, მაგრამ თუ კიდევაა ვინმე დარჩენილი, მათ 28 თებერვლამდე საჯარო რეესტრის საგარეჯოს ფილიალიდან უნდა წარმოადგინონ ამონაწერი მიწის მფლობელობის შესახებ და ისინი შეყვანილი იქნებიან დამატებით სიებში.

— თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ შარშან შემოდგომაზე მოსახლეობაში უკვე მოხნულია 1240 ჰა მიწა და 512-მა ბენეფიციარმა უკან დააბრუნა სასოფლო-სამეურნეო ბარათი. ამ შემთხვევაში მათ მიეცემათ თუ არა შარშანდელი ექვივალენტის შემცველობის აგრობარათები?

— რა თქმა უნდა, ამ და სხვა შემთხვევებში, რომელთა გამო ბენეფიციარს შეუძლია ხვნის ბარათის უკან დაბრუნება (ეს წესები დატანილია სახნავ ბარათზე) სააგენტოში, რათა ამ ბარათით გათვალისწინებული სარგებლის ექვივალენტი ქულები მას დაერიცხოს „აგრობარათზე“.

— რა შემთხვევაში უუქმდება მოსარგებლეს ხვნის ბარათი?

— ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იგი კატეგორიულ უარს აცხადებს ხვნის ბარათის მიღებაზე და მას ქულები არც აგრობარათზე დაერიცხება.

— რა ვადებში შეუძლიათ ბენეფიციარებს ხვნის ბარათის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში დაბრუნება?

— ბარათების სააგენტოში დაბრუნების ბოლო ვადაა 2015 წლის 15 ნოემბერი, ხოლო რაც შეეხება მათი გამოყენების ვადებს, ბენეფიციარებს მათი გამოყენება შეუძლიათ ამა წლის 1 დეკემბრამდე.

— როდის დაერიცხებათ მიწის მფლობელ მოსარგებლეებს აგრობარათებზე მათი კუთვნილი ქულები და რისი შეძენა შეეძლებათ მათი გამოყენებით?

— 0.25 ჰა-მდე მიწის მფლობელ მოსარგებლეებს მათი კუთვნილი 50 ქულა დაერიცხებათ 2015 წლის 1 მარტს და აგრობარათზე დარიცხული ქულებით მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის: სასუქის, სათესლე და სანერგე მასალების, მცენარეთა მოვლის საშუალებების შეძენა შესაბამისი მიმწოდებლებიდან.

— როდემდეა აგრობარათების მოქმედების ვადა?

— ეს ვადები გრძელდება 2015 წლის 1 დეკემბრამდე. 1 დეკემბერს კი მოხდება აგრობარათებზე დარიცხული და გამოუყენებელი ქულების ანულირება.

ესაუბრა *გიგი დაბახიშვილი*

სოფლის ახალი ღონე — კოოპერატივი

2013 წლის *12 ივლისს საქართველოში ამოქმედდა ახალი კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მანქანა-იარაღებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, გლეხობისა და ფერმერების დანაწევრებული მიწის ფართობების გამსხვილება-კონსოლიდაციას, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას, მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და ამისდაკვალობაზე ქვეყნის აგრარული სექტორის გაძლიერებას. ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების კანონის მიღებამ თავისი გამოძახილი ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სინამდვილეშიც ჰპოვა, რომლის თანახმადაც სხვადასხვა სოფლებში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ერთ-ერთი ასეთია კაკაბეთში გასულ წელს დაარსებული კოოპერატივი „კაკაბეთი-2014“, რომლის თავმჯდომარეა ამ სოფლის მკვიდრი და საჯარო სკოლის დირექტორი პაატა ჩხეიძე. თუ რამ უბიძგა სკოლის დირექტორს ამ რთული და საპასუხისმგებლო საქმის თავკაცობისკენ, ან რა სამომავლო გეგმები აქვთ დასახული კოოპერატივის წევრებს, გვესაუბრება თავად* **პაატა ჩხეიძე.**

— კაკაბეთში გაზრდილ-დაბადებული კაცისათვის შრომა და სოფლის მეურნეობა უცხო რომ არაა, ეს საქვეყნოდაა ცნობილი, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში პაატამ, — მეც, მართალია, უმაღლესი განათლება მივიღე და სკოლის დირექტორადაც საკმაო ხანია ვმუშაობ, სოფლის მეურნეობისათვის ერთი დღითაც არ დამინებებია თავი. ოჯახის წევრებთან ერთად ყოველწლიურად ვუვლი რამდენიმე ჰექტარ ვენახს, ვაწარმოებ მარცვლეულს, ვაშენებ შინაურ ცხოველებსა და ფრინველს. ერთი სიტყვით, სოფლელი კაცის ყოველდღიურობით ვცხოვრობ. ასევე არიან ჩემი ძმები და მათი ოჯახები. მართალია, მდიდრები არ გვეთქმის, მაგრამ არც გაჭირვებას ვუჩივით. ჩვენს შრომას განსაკუთრებული ფასი ქვეყნის ახლანდელი ხელისუფლების დროს დაედო, როცა გატარდა, ჩემი აზრით, საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიებები მევენახეობის განვითარებისათვის. მარტო გასულ წელს 5 ჰა მსხმოიარე ვენახიდან ჩვენმა შემოსავალმა 35-40 ათას ლარამდე შეადგინა, მაშინ, როცა წინა პერიოდებში არ ვიცოდით, რა მოგვეხერხებინა მოწეული მოსავლისათვის და ყურძენს ტყეში დაკრეფილ;ი ტყემლის ფასადაც ვერ ვუკეთებდით რეალიზაციას. შრომის ასეთმა დაფასებამ, რა თქმა უნდა, მეტი სტიმული მისცა ჩვენს შრომას. ამასთანავე, ტელევიზიით, მედიის საშუალებებით თითქმის ყოველდღიურად შუქდება იმ შეღავათების შესახებ, რასაც ჩვენი მთავრობა ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებისათვის უშვებს და როცა კარგად ავწონ-დავწონეთ და გავერკვიეთ ყველაფერ ამაში, გადავწყვიტეთ, ჩვენც გვეცადა ბედი ამ სფეროში. ჩამოვაყალიბეთ ოჯახური კოოპერატივი, რომელიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციით იქნება დაკავებული.

ჩვენი კოოპერატივის ძირითადი საქმიანობა მევენახეობა და ყურძნის წარმოება იქნება. ჩვენ სადღეისოდ გაშენებული გვაქვს მუნიციპალიტისათვის დამახასიათებელი ვაზის ჯიშები: „საფერავი“, „რქაწითელი“, „მწვანე“, სუფრის ყურძენი. ვგეგმავთ რომ არსებულს სამომავლოდ კიდევ რამდენიმე ჰექტარი მივუმატოთ. საამისოდ გვაქვს 3 ჰა-მდე სახნავი მიწა, ნაწილის შეძენასაც აღებული შეღავათიანი კრედიტით ვაპირებთ. ამას გარდა, გვინდა ბოსტნეულის მოსაყვანი სათბურებისა და 5 ან 10 ფურზე გათვლილი საქონლის ფერმის აშენება. ჩვენს პირობებში ამდენი პირუტყვის მოშენება ადვილია, რაც ხელს შეგვიწყობს საკუთარი ბიოგაზის წარმოებაში, რომელსაც ძირითადად ბოსტნეულის სათბურში მოვიხმართ, ხოლო ბიოგაზის გადამუშავების შედეგად დარჩენილ ნაკელს ვენახების სასუქად გამოვიყენებთ. ამის გარდა, ბიოგაზის საწარმოებლად შესაძლებელია ვენახების მწვანე ანასხლავის გამოყენებაც.

დღეისათვის კოოპერატივში ჩემი ჩათვლით 8 კაცი ვართ გაერთიანებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ყველა ოჯახის წევრები. თუ საქმე გამოვიდა და კარგად წავიდა, სამომავლოდ ვგეგმავთ კაკაბეთში არსებულ მეორე კოოპერატივ „ერთობასთან“ გაერთიანებას, სადაც 7 კაცია გაერთიანებული. ვნახოთ, ყველაფერი კიდევ წინაა და თუ საქმე ავაწყეთ, მომავალში, ალბათ გაფართოებასა და ახალი მუშახელის დასაქმებასაც შევძლებთ...

— რამდენად გეხმარებათ და მხარში გიდგათ სოფლის მეურნეობის პროექტები?

— რომ არა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ამ სააგენტოს იმედი და დახმარება, დამერწმუნეთ, ასეთ საქმეს ჩვენ ვერ შევებმებოდით. კოოპერატივის შექმნასა და დაარსებაში დიდი დახმარება გაგვიწია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა და პირადად მისმა ხელმძღვანელმა ნიკო ჯავახიშვილმა. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ კი ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე 30%-იანი თანადაფინანსებით გამოგვიყოფ მიწის გასაფხვიერებელი მოტობლოკი. ასევე შეპირებული არიან, რომ ასევე თანადაფინანსებით გამოგვიყოფენ ჰოლანდიური კარტოფილის სათესლე მასალას. აქედან, როგორც მოტობლოკის პირობებში, გადასახდელი თანხის 30% ფარავს კოოპერატივი, დანარჩენს კი აღნიშნული სააგენტო. ამასწინათ კი, „თიბისი“ ბანკიდან მივიღეთ შეტყობინება, რომ მიმდინარე წლის I კვარტლისათვის კოოპერატივისათვის გამოყოფილი იქნება შეღავათიანი კრედიტი 30-დან 100 ათასი დოლარის ფარგლებში წლიური 3-4%-ის გადასახადით, რისი მეშვეობითაც ვაპირებთ ზემოთაღნიშნული პროექტების განხორციელებას.

— თუ არ ვცდები, პირველ-ორ წელს გარკვეული შეღავათებია დაბეგვრის საქმეში.

— კი, 2017 წლის 1 იანვრამდე არ იბეგრება კოოპერატივის ქონება, მიღებული გრანტები და საწევრო შენატანები, კოოპერატივის წევრის მიერ კოოპერატივიდან მიღებული დივიდენდები. კოოპერატივის საკუთრებაში (მიწის გარდა) არსებული და მასზე ლიზინგით გადაცემული ქონება და სხვა. ანუ, საერთო ჯამში, მთავრობა კოოპერატივებს ხელს გვიწყობს ფეხზე მყარად დადგომაში, რათა სრულფასოვნად შევძლოთ იმ ამოცანების გადაჭრა, რაც კოოპერატივების წინაშეა დასახული, ხოლო თუ როგორ შევძლებთ ყველაფერ ამის განხორციელებას, ამას მომავალი დაგვანახებს.

ესაუბრა *გიგი დაბახიშვილი*

იონჯა

იონჯა მრა ვალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს 70-90 სმ (ზოგჯერ 150სმ) სიგრძის ღეროები, რომლებიც ბუჩქს ქმნიან. ფოთოლი სამყურაა, ყვავილედი — მტევანი — 15-20 კაშკაშა ყვავილით. ნაყოფი სპირალისებურად დახვეული პარკია. ოვალურ-თირკმლისებრი თესლი ყვითელი ან მოყვითალო-წაბლაა. ფესვთა სისტემა მრავალღერძოვანი, მძლავრი და დატოტვილია, ნიადაგში ღრმად (5-10 მეტრამდე) ჩადის.

ცნობილია იონჯის 100 სახეობა, რომლებიც გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. პირუტყვი იონჯის ყველანაირ საკვებს გემრიელად ჭამს, ადვილად ინელებს (მონელებადობა 70-80%-ს აღწევს). 100 კგ მწვანე მასა შეიცავს 21.7 საკვებ ერთეულს და 4.1 კგ ცილას. იონჯის სამშობლოა ირანი, შუა აზია, კავკასიის მთები და მთისწინები.

საქართველოში იონჯა ყველგან გვხვდება, ჩვენთან გავრცელებულია სლავური, ადგილობრივი და უნგრული ჯიშები. ადგილობრივი ჯიშია ქართული იონჯა. იონჯის თივის წარმოება საუკეთესო საშუალებაა, რომელიც შეიცავს საყუათო ნივთიერებებს და ცილების დიდ რაოდენობას. საქართველოში არსებული ნიადაგის ტიპებსა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შეგვიძლია სეზონის განმავლობაში, ორნათიბ ჰექტარზე მივიღოთ 3.50 ტონა თივა. იონჯის ნათესის გამოყენება შესაძლებელია 5 წლის განმავლობაში.

იონჯის წარმოებისათვის საჭიროა შემდეგი აქტივობის განხორციელება.

1. ნიადაგის დამუშავება 22-25 სმ სიღრმეზე;

2. ნიადაგის განოყიერება მინერალური სასუქებით. ერთ ჰა-ზე საჭიროა 500 კგ სუპერფოსფატი და 200 კგ ამოფოსი.

იონჯის თესვა კარგია ადრე გაზაფხულზე, მარტის I ნახევარში ან შემოდგომით.

იონჯის წარმოებისას ნორმად მიღებულია 2-4 სმ-ის სიღრმეზე, ნახევარ ჰექტარ მოხნულ ფართობზე 2 კგ სათესლე მასალა, სხვა ბალახთან ერთად, მაგ. სამყურასთან შერევით. სასურველია იონჯას თესლის სილაში შერევა და ისე დათესვა. დათესვის შემდეგ უნდა მოხდეს ნიადაგის დატკეპნა.

იონჯას ნათესში ნახირის შერეკვა მოსაძოვებლად დაუშვებელია, რადგან მოსათიბი იონჯის გადამუშავებას თითქმის ვერ ახერხებს პირუტყვი, რაც შეიძლება მისი სიკვდილით დამთავრდეს.

იონჯა-სამყურის თესვა სასურველია ნეიტრალურ ან ტუტე რეაქციის ნიადაგზე. მჟავე ნიადაგის არსებობის დროს, საჭიროა ნიადაგის მოკირიანება. კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საგარეჯოს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს.

აკაკი დეკანოზიშვილი,

საგარეჯოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მესაქონლეთა დასახმარებლად

„ᲛᲘᲛᲔᲪᲘ ᲜᲘᲭᲡᲐ ᲒᲖᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ“...

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ

დღეს სწორედ ასეთ საგარეჯოელს – ნიკა ხითარიშვილს გაგაცნობთ. ნიკა საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა. სკოლაში სწავლობს კარგად, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ სოლისტია. თავის ასაკთან შედარებით ნაკითხი და კარგად მოაზროვნეა. აინტერესებს ჟურნალისტიკა. გასულ წელს მოსწავლეთა 67-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით სამეცნიერო კონფერენციისათვის მან პედაგოგ ნინო მელაშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა და წარადგინა თემა „რა ენა წახდეს“... თემის ავტორი თემის უკეთ დასამუშავებლად ჟურნალისტებისა და რესპოდენტების მიერ მეტყველებისას და წერისას დაშვებული შეცდომების გასაანალიზებლად ტელეკომპანია „იმედის“ ცნობილ წამყვანებს შეხვდა და მათთან ერთად ისაუბრა ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე.

გააზრებულად, ღრმად შესწავლილმა საკითხმა აღნიშნულ კონფერენციაზე წარდგენისას უმაღლესი შეფასება – I ადგილი მოუპოვა თემის ავტორს. ჩვენ, რედაქციის თანამშრომლებმა ეს სულ ახლახანს, ნიკასთან სულ სხვა საკითხზე საუბრისას შევიტყვეთ და გაგვიხარდა. გაგვიხარდა უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მომავალი ჟურნალისტი თავის პირველ ნაბიჯებს ქართულ ჟურნალისტიკაში ქართული ენის სიწმინდის დაცვით იწყებს – დიახ, ქართული ენის სიწმინდის დამცველთა რიგებს კიდევ ერთი ქომაგი, გულშემატკივარი, სწორედაც რომ ძლიერი გულშემატკივარი გამოუჩნდა.

ამჯერად, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავეცნოთ ნიკას კონფერენციაზე გამარჯვებულ თემას.

საქართველოში დანერგილი კულტურისა და ადათ-წესების მსგავსად, ენაც თავისთავად განიცდიდა ცვლილებებს, ითვისებდა ახალ-ახალ სიტყვებს ან ივიწყებდა ძველს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კავკასიური ერების სახელმწიფოებთან უშუალო სიახლოვესაა, აზერბაიჯანული, ჩეჩნურ-ადიღეური და მით უმეტეს, სომხური ენების გავლენა მშობლიურ ენაში ნაკლებად იგრძნობოდა. ქართული ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თუ შინაარსობრივ წარმოშობაში გაცილებით დიდი როლი უკავია არაბულ, ბიზანტიურ, სპარსულ, თურქულ, შემდეგ კი რუსულ და ევროპულ ენებს.

მეოცე საუკუნეში და განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში ტექნიკური პროგრესის ნახტომისებურმა განვითარებამ დააჩქარა და გააადვილა ერთაშორისი კავშირები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას წინ გაუსწრო ენობრივმა კომუნიკაციამ, შემოიჭრა მრავალი სახის ე.წ. „ცივილიზაცია“, რამაც ჯერ არნახული საფრთხე შეუქმნა ქართული ენის სიწმინდეს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უახლოეს წარსულში საქართველოს ტელევიზიის წამყვან არხებზე კვირაში ერთი გადაცემა, სიუჟეტი ან ჩანახატი მაინც ეძღვნებოდა ქართული ენის განვითარებას. იდგმებოდა სატელევიზიო

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲘᲪᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲒᲐᲪᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ.

შირებული ბარბარიზმები და მათი საშუალებით ნაწარმოები სიტყვები: „მესიჯი“, „სმაილი“, „დალაიქება“, „ამოპრინტერება“ და ა.შ.

სწორედ ტელევიზიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებულმა მზარდმა ტექნოლოგიების ბუმმა მაიძულა მეფიქრა, რომ ქართული ენის სიწმინდის დაცვაში პირველ რიგში აქ დასაქმებულ პირებს მიუძღვით „ლომის წილი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიზნად დავისახე, შევხვედროდი ცნობილ ქართველ ჟურნალისტებს და პრობლემაში უკეთ გარკვევისათვის მათთვის მომესმინა.

– რა როლი აქვს მასმედიაში მოღვაწე ჟურნალისტს ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხში?

ᲔᲙᲐ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ – ჟურნალისტმა კარგად უნდა იცოდეს ქართული ენა, ნორმალურად ფლობდეს მეტყველებას, კარგად წერდეს და შეცდომებს არ უნდა უშვებდეს. გარდა ამისა, ამ საკითხებზე მუდმივად უნდა ფიქრობდეს, რადგან სწორედ ის არის სახე ქართულად მეტყველი ქართველისა.

ᲕᲐᲮᲝ ᲡᲐᲜᲐᲘᲐ: – მე ვფიქრობ, რომ ყველა ჟურნალისტმა სწორად უნდა იმეტყველოს. სწორი მეტყველება უნდა ისმოდეს ეთერიდან. ეს არის ენის მაყურებლის და პირველ რიგში, საკუთარი თავის პატივისცემა, თუმცა, გასათვალისწინებელია მეორე საკითხიც: – ენა ცოცხალი ორგანიზმია, იგი ყოველთვის ვითარდება, მოჰყვება დროს და დროის შესაბამის მეტამორფოზას განიცდის. ჩვენი ენა იმიტომაა მდიდარი, რომ საუკუნეების განმავლობაში ბევრი სხვა ენის ზემოქმედების შედეგად ფორმირდებოდა. მრავალი სიტყვა, რომელიც სხვა ენიდან არის შემოსული, უფრო და უფრო ამდიდრებს ქართულ ენას. ჟურნალისტის მხრიდან ენის სიწმინდის დაცვის აზრი სწორედ იმაშია, რომ სხვა ენიდან შემოსული რაც შეიძლება მეტი სიტყვა გაფილტროს და დატოვოს ის მცირედი, რომელსაც ქართული ენა აითვისებს.

ᲑᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲐ: – ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხში ჟურნალისტის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია, რამდენად სწორედ არის მიწოდებული ესა თუ ის აზრი. თუმცა, სამწუხაროა, რომ ტელევიზიები, პრესა და ჟურნალისტები არ აქცევენ ყურადღებას, როგორ წერენ ისინი ტექსტებს, როგორ გადმოსცემენ სათქმელს. სწორად და ლაკონურად წერა მაინცა და მაინც არ ნიშნავს გამართული ქართულის ცოდნას. ტექსტის შედგენა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ შინაარსობრივად გასაგები ფრაზა მოიფიქრე. როდესაც სწორად წერ, იგი ინტონაციურადაც გამართულია. ფრაზის გამართულობის შემთხვევაში კი წინადადება მთავრდება ჟღერადობითაც და ინტონაციითაც. ენის დაცვის მხრივ სწორედ ამგვარი საკითხებით გამოიხატება ჟურნალისტის როლი.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

„ᲠᲐ ᲔᲜᲐ ᲬᲐᲮᲓᲔᲡ“...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ენის სიწმინდის შენარჩუნება არა მარტო თანამედროვეობის, არამედ უახლესი და ახლო წარსულის საკმაოდ მწვავე პრობლემაა. მართლმადიდებლური ქრისტიანული მრწამსისა და სამშობლოს მცნების გვერდით მის დაცვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი კაცის ცხოვრებაში. ენა ჩვენი ეროვნულობის ქვაკუთხედია.

ისტორიული პროცესების მიმდინარეობისას ერთაშორისი ურთიერთობების განვითარებაში უდიდესი ადგილი უკავია ენის როლსა და გავლენას ადამიანებზე. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა დამპყრობელი ქვეყნების მიერ

გაკვეთილები, იკითხებოდა ლექციები, პერიოდული იყო „პოეზიის 5 წუთი“ ან ქართული სიტყვის სწორად გამოთქმის სწავლება. იყო ქართული ფილმებიც, სადაც სწორედ მეტყველებდნენ. დღეისათვის კი ეს ყოველივე ჩაანაცვლა სხვადასხვა ქვეყნების სერიალებმა და ე.წ. „თოქშოუებმა“.

ზემოხსენებული პრობლემის განხილვისას გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება – წარმოიშვა კიდევ ერთი ნეგატიური მიზეზი, რომელიც ქართულ ენაში ახალ-ახალ სიტყვებს ამკვიდრებს. ესაა მზარდი მობილური, სატელეფონო და კომპიუტერული ტექნოლოგიები. მაგალითისთვის საკმარისია ამასთან დაკავ-

აღმნიშვნელია, ხოლო მეორე მხრივ, ღვთაებისათვის შეწირული მონა-მსახურს ნიშნავს. ეს კი ცხადყოფს ბერიკაობის სათავეს, ის ღვთაებისათვის „ზვარად“ შეწირულ მონა-ბერების მიერ შვილიერების ნაყოფიერების დასამწყალობებლად შესრულებულ წეს-მსახურება სანახაობასთან ყოფილა დაკავშირებული.

ბერიკაობა თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართველი ერის ისტორიულმა ყოფამ თავისი კვალი დაამჩნია. „ბერიკაობის სიუჟეტებს შემორჩენილი აქვს თავისი განვითარების სხვადასხვა ხანისათვის დამახასიათებელი წყობა და შინაარსი. მთელ რიგ სიუჟეტებში უძველესი და ახალი ელემენტები ურთიერთის გვერდით არსებობენ. ძველს ახალთან შეგუების უნარი გამოუჩენია და ახალს კიდევ პირიქით. თავისი შინაარსისა და წყობის მიხედვით გამოირჩევა ძველი წარმართული და შემდეგ გაჩენილი საერო ბერიკაობა“

დროთა განმავლობაში განმავლობაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშ-

ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ ბერიკაობა მხოლოდ ორ სოფელში დიდ და პატარა ჩაილურში შემორჩა როგორც ტრადიცია, ისე რომ როგორც სოფლის უხუცესები ამბობენ ომიანობის დროსაც კი არ უთქვამთ მასზე უარი. ისე როგორც ძველად, ახლაც ბერიკაობა ადრე გაზაფხულზე, ყველიერის კვირას ტარდება. ბერიკებს უკვე თითქმის ათეული წელია „ბერიკათწინამძღვრად“, ჰყავთ სოფლის მკვიდრი ნ.როსტიაშვილი. სამზადისის დროს ბერიკები საგულდაგულოდ არჩევენ ნიღბებს, უმეტესად თექისაგან იკერება და ჭრელი ნაჭრეებით არის მორთული, თუმცა განსხვავებით ძველისაგან ახლანდელი ბერიკები

ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ

ᲫᲕᲔᲚ ქართულ ხალხურ სანახაობათა შორის თავისი ნიღბებით და ტრადიციით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ბერიკაობა“ . „ბერიკაობა თითქმის ყველგან, საქართველოს ყოველ კუთხეში , საყოველთაო წეს-თამაშობათა რიცხვს ეკუთვნოდა. ბერიკაობის სათავედ ბუნების განახლებისა და განაყოფიერების საკულტო წეს-მსახურებად არის მიჩნეული. ამიტომაც ადვილი გასაგებია, თუ რატომ იყო, რომ ეს სანახაობა ბუნების გამოღვიძებისას გაზაფხულის დამდეგს იწყებოდა “ (დ.ჯანელიძე)

ბერიკაობა ბერი-დან არის ნაწარმოები. ის განაყოფიერებისა და შვილიერების საერთო კულტს უკავშირდება. საყურადღებოა ბერის სხვა მნიშვნელობაც. ბერად იწოდებოდა ყველა, ვისაც კი რელიგიური კულტის მსახურების და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული. ბერიკაობა ღვთაებათა სადიდებელი საკულტო წეს-მსახურების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, თავდაპირველად .მაშასადამე გარკვეულია, რომ ბერი, ერთის მხრივ შვილიერების, ნაშობის, განაყოფიერების

ᲒᲔᲚᲐ ᲕᲔᲨᲐ�პᲘᲫᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲩᲐᲘᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲐ – ᲝᲠᲘ ᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲫᲛᲐ. ᲝᲯᲐᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘᲐ. ᲓᲔᲓᲐᲛ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ;ᲛᲐ ᲔᲙᲐ ᲭᲘᲙᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲛ, ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲘᲡᲮᲚᲮᲝᲠᲪᲔᲑᲘᲜᲔᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲩᲐᲘᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡ�წᲐᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲒᲐᲪᲜᲝᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡ�წᲐᲣᲚᲘ „ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲗ,ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔᲡ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡ�წᲐᲣᲚᲘ „ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲗ,ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔᲡ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡ�წᲐᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ. ᲛᲝᲗᲚ ᲠᲘᲒ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ.ᲫᲕᲔᲚᲡ ᲐᲮᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲒᲣᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲘᲜᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ“

ᲫᲚᲘᲔᲚᲐᲓ თუ მოიპოვება ისეთი დიდი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა როგორიც საქართველოა. მისი ყოველი კუთხე ნათლად ასახავს ისტორიის სხვადასხვა ეტაპს. ამ მხრივ გამორჩეულია ერთ-ერთი უძველესი კუთხე კახეთი. მეც კახელი ვარ, ვცხოვრობ დიდ ჩაილურში, მინდა ჩემი მცირე ნაშრომში გაგაცნოთ ჩემი სოფლის ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ბერიკაობა“, რომელიც ყოველ წელს გაზაფხულით, ყველიერის კვირადღეს იმართება და რომელსაც მოუთმენლად ველით, დიდი თუ პატარა. სოფელში მცხოვრები მამაკაცების უდიდესი ნაწილი ერთხელ მაინც ყოფილა ბერიკა. მე სურვილი გამიჩნდა შემესწავლა ამ ტრადიციის შესახებ მეტი. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა არამარტო უფროსების მონათხრობი მომესმინა, არამედ სამეცნიერო ლიტერატურასაც გავცნობოდი. ამ მხრივ საინტერესო მეგზურობა გამიწია დ.ჯანელიძის „ქართული თეატრის ისტორიამ“

ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ

ᲫᲕᲔᲚ ქართულ ხალხურ სანახაობათა შორის თავისი ნიღბებით და ტრადიციით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ბერიკაობა“ . „ბერიკაობა თითქმის ყველგან, საქართველოს ყოველ კუთხეში , საყოველთაო წეს-თამაშობათა რიცხვს ეკუთვნოდა. ბერიკაობის სათავედ ბუნების განახლებისა და განაყოფიერების საკულტო წეს-მსახურებად არის მიჩნეული. ამიტომაც ადვილი გასაგებია, თუ რატომ იყო, რომ ეს სანახაობა ბუნების გამოღვიძებისას გაზაფხულის დამდეგს იწყებოდა “ (დ.ჯანელიძე)

ბერიკაობა ბერი-დან არის ნაწარმოები. ის განაყოფიერებისა და შვილიერების საერთო კულტს უკავშირდება. საყურადღებოა ბერის სხვა მნიშვნელობაც. ბერად იწოდებოდა ყველა, ვისაც კი რელიგიური კულტის მსახურების და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული. ბერიკაობა ღვთაებათა სადიდებელი საკულტო წეს-მსახურების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, თავდაპირველად .მაშასადამე გარკვეულია, რომ ბერი, ერთის მხრივ შვილიერების, ნაშობის, განაყოფიერების

აღმნიშვნელია, ხოლო მეორე მხრივ, ღვთაებისათვის შეწირული მონა-მსახურს ნიშნავს. ეს კი ცხადყოფს ბერიკაობის სათავეს, ის ღვთაებისათვის „ზვარად“ შეწირულ მონა-ბერების მიერ შვილიერების ნაყოფიერების დასამწყალობებლად შესრულებულ წეს-მსახურება სანახაობასთან ყოფილა დაკავშირებული.

ბერიკაობა თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართველი ერის ისტორიულმა ყოფამ თავისი კვალი დაამჩნია. „ბერიკაობის სიუჟეტებს შემორჩენილი აქვს თავისი განვითარების სხვადასხვა ხანისათვის დამახასიათებელი წყობა და შინაარსი. მთელ რიგ სიუჟეტებში უძველესი და ახალი ელემენტები ურთიერთის გვერდით არსებობენ. ძველს ახალთან შეგუების უნარი გამოუჩენია და ახალს კიდევ პირიქით. თავისი შინაარსისა და წყობის მიხედვით გამოირჩევა ძველი წარმართული და შემდეგ გაჩენილი საერო ბერიკაობა“

დროთა განმავლობაში განმავლობაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და იგი ხალხის ცხოვრების ამსახველ ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრად იქცა.

ბერიკაობა თავისი თამაშობის ადგილის ხასიათის მიხედვით სამგვარი ყოფილა: კარდაკარ მოსიარულე, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო. ის მოთამაშეთა შემადგენლობისა და წარმოდგენის მიხედვით ორგვარი იყო, დიდი და პატარა, დიდ ბერიკაობაში 100-150 მოთამაშე მონაწილეობდა, პატარაში ხშირად თურმე მხოლოდ სამი მოთამაშე ყოფილა. მათ ყოველთვის ჰყავდათ „თამადა“ ან „ბერიკათწინამძღვარი“ რომელსაც ყველა მოთამაშე ემორჩილებოდა. ბერიკაობის წარმოდგენებს წინ უძღვოდა სამზადისი. ბერიკები ნიღბებით თამაშობდნენ, ნიღბები გარდა ადამიანთა ტიპაჟებისა, წარმოსახავდნენ ცხოველთა სამყაროს.

არსებობდა ნაბდის ნიღბებიც, რომელიც ქუდიც იყო. „ბერიკაობის წარმოდგენებში გამოყენებული იყო როგორც საკრავიერი, ისე ხმიერი მუსიკა. საკრავიერი მუსიკიდან ბერიკები იყენებდნენ, სტვირს, დაფა-ზურნას, ჩონგურს დაირას“ მათ რეპერტუარს ბერიკული ეწოდებოდა.

ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ ბერიკაობა მხოლოდ ორ სოფელში დიდ და პატარა ჩაილურში შემორჩა როგორც ტრადიცია, ისე რომ როგორც სოფლის უხუცესები ამბობენ ომიანობის დროსაც კი არ უთქვამთ მასზე უარი. ისე როგორც ძველად, ახლაც ბერიკაობა ადრე გაზაფხულზე, ყველიერის კვირას ტარდება. ბერიკებს უკვე თითქმის ათეული წელია „ბერიკათწინამძღვრად“, ჰყავთ სოფლის მკვიდრი ნ.როსტიაშვილი. სამზადისის დროს ბერიკები საგულდაგულოდ არჩევენ ნიღბებს, უმეტესად თექისაგან იკერება და ჭრელი ნაჭრეებით არის მორთული, თუმცა განსხვავებით ძველისაგან ახლანდელი ბერიკები

მზა ნიღბებსაც ყიდულობენ. (უმეტესწილად საშინელებათა ფილმების გმირების ,ხშირად ნიღბებს) სოფლის სტადიონზე ამზადებენ საჭიდაოს, ყრიან ნახერხს, ტყიდან ჩამოაქვთ დიდი ხის მორი, ხისავე ტოტებით, აწყობენ დიდ საქანელას, იგივე „კაჩაიას“.

ამ დღისთვის მთელი სოფელი საგულდაგულოდ ემზადება და რადგან „სტუმარი ღვთისაა“, ყველა ოჯახი ემზადება მათ დასახვედრად, სპეციალურად ამ დღისათვის

ცხვება ქადები, იგივე ნაზუქები კეცებში. ყველა ოჯახი შეძლებისდაგვარად ამზადებს ძღვენს ბერიკებისათვის. ბერიკები ნიღბებს წინამძღოლის ოჯახში ირგებენ, რომელიც სოფლის თავშია, ვიდრე ისინი გამოეწყობიან სოფლის მოსახლეობის ნაწილი სტუმრებთან ერთად თავს იყრის სოფლის სტადიონზე, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი კი წინამძღვრის ჭიშკართან. ბერიკები ყიჟინით იწყებენ კარდაკარ შემოვლას, მათ უკან ხალხი მოჰყვება. სტადიონზე შეკრებილები კი თვალყურს ადევნებენ ჭიდაობას, სადაც ერთმანეთს ერკინებიან მოხალისეები, ზოგჯერ კი ცნობილი ფალავნები. გამარჯვებულს საჩუქარი ელის, ხშირ შემთხვევაში ჯილდოს ყოჩი წარმოადგენს.

ბერიკებს თან მოყვებათ საბარგულ აკიდებული ვირი, რომელზედაც მიძღვნილ ნობათს ათავსებენ. ოჯახი, რომელიც მათ ბერიკებს სიხარულით არ შეხვდება, ისჯება. მათ ჭიშკარს ისინი მოსვრიან ტალახით, ეს ნიშანია. შუა სოფელში წინასწარ შერჩეულ ოჯახში ბერიკები ერთმანეთს ენაცვლებიან და სვლას იწყებს ბერიკების ახალი დასი. მათ წინ ტახი მიუძღვით, ისინი სოფლის ბოლოს ტრადიციულად ჩერდებიან ფირუზი საგინაშვილის ოჯახში. ბერიკების ჩავლის შემდეგ სიჩუმე დაისადგურებს, შეიძლება ეს სულ ოცი-ოცდახუთი წუთი გაგრძელდეს. მოულოდნელად, ისე, რომ არავინ ელის საჭიდაო წრეში ყიჟინითა და შოლტების ქნევით ბერიკები შეცვივდებიან, იწყებენ ჭიდაობას, "კაჩაიაზე" ქანაობას, კვლავ აახმაურებენ არემარეს, ეს ყველაფერი კი ტახის დაკვლით მთავრდება.

და ბოლოს...

მიუხედავად ჟამთა სვლისა და მთელი რიგი ცვლილებებისა, ბერიკაობა მაინც რჩება საყოველთაო სახალხო დღესასწაულად, ეს არის ძალიან ლამაზი, ენერგიული და საინტერესო სანახაობა. ვისურვებდი, რომ ის აღორძინდეს სხვა სოფლებშიც და ყველა ქართველი ერთხელ მაინც გახდეს მონაწილე ამ მხიარულებისა. ვფიქრობ ყველა უნდა გავუფრთხიდეთ მას როგორც არამატერიალური კულტურის ძეგლს.

განათლება

არის კანონი „ბავშვობის“ აკრძალვის?!

მოგეხსენებათ ერთობლივად სწავლა შესაძლებელია მაშინ, როცა მოსწავლეები გაერთიანებულნი მუშაობენ საერთო პრობლემის გადასაწყვეტად.

მრავალ მეცნიერს მიაჩნია, რომ სწავლის შედეგებზე დადებით ზეგავლენას ახდენს ერთობლივი სწავლების მეთოდების გამოყენება. შედეგები კი სრულიად არაადეკვატურია, როდესაც კლასში მოსწავლეთა ასაკობრივი განსხვავებაა.

კლასში ირიცხება მოსწავლე,რომელიც ხუთი წლისაა და ისეთიც,რომელიც მალე შვიდის გახდება. ამ ასაკში ერთი და თუნდაც რამდენიმე ბავშვი თუ ზის, დამეთანხმებით, რომ მართლაც დიდი პრობლემა გვექმნება პედაგოგებს.

ხუთი წლის ბავშვს,დამეთახმებიან ფსიქოლოგები,რომ ვართმევთ ბავშვობას და ვთხოვთ,რომ 45 წუთის განმავლობაში იყოს მობილიზებული გონებრივადაც და ფიზიკურადაც.

ერთ მაგალითს მოვიყვან ჩემი პრაქტიკიდან (15 წელია, რაც დაწყებითი კლასების პედაგოგი ვარ), გაკვეთილის მსვლელობის დროს 5 წლის პატარა მთელი გულით მთხოვდა, რომ ტაში დაგვეკრა და მას კი ეცეკვა.

თუნდაც,როგორც მასწავლებელს,განა მქონდა უფლება მისთვის მეთქვა: – შენ ამის უფლებას კანონი არ გაძლევს და უნდა გაჩერდე, დაემორჩილო სკოლის წესებს და რეჟიმს და ჩაიწერო, როგორ მივუმატო რაოდენობრივ ჯგუფს კიდევ ერთი, ორი, სამი და ა. შ. ერთეული.“

მოდით,ახლა უფრო ღრმად ჩაგახედებთ სწავლის სირთულეებში:

* სწავლა განპირობებულია მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობით;

* კითხვა, რომელიც მოითხოვს მოსწავლეებისგან, განიხილონ თემა მისი ზოგადი გაგების კონტექსტში, აზროვნების პროცესის გათვალისწინებით.

* ჯგუფური მუშაობა, რომელსაც თან მოსდევს ინდივიდუალური ანგარიშის ჩაბარება ზეპირად ან წერილობით;

* აზროვნება, რომელიც გულისხმობს სიახლეს, შედარებას, ინტერპრეტაციას, გამოყენებას, პრობლემის გადაჭრას.

* მიღებული ცოდნის კვლევით და კითხვების დასმით ტექსტზე აღნიშვნების გასაკეთებლად.

აი, რა არის 5 წლის ბავშვის პრობლემა სწავლის პროცესში.

მასწავლებელი პატივისცემით ეპყრობა მოსწავლეს. ურთიერთობა ვიწრო გაგებით, არ არის მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულება, კონკრეტული წესების, სურვილების ნაკრების შეზღუდვების დაწესება მოსწავლეებთან თანამშრომლობის გზით.

ნუთუ ამ ურთიერთობის მთავარი მიზანი და შედეგი არ უნდა იყოს პატარების ფორმირება?!

რომელ კანონს აქვს უფლება „ბავშვობის“ აკრძალვის?!

ჩემი აზრით, ალბათ არანაირს...

ძვირფასო მკითხველო, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ რამდენიმე წუთისათვის, რაც სტატიის კითხვას მოანდომეთ. გთხოვთ უფრო ღრმად ჩაუფიქრდეთ ბავშვობის ლამაზ ფერადოვან წლებს.

აჩუქეთ ერთი ლამაზი საათი საკუთარ თავს და გადაფურცლეთ ყდაგადაცრეცილი ფოტოალბომი, დაათვალიერეთ ბავშვობის ფოტოები და გაიხსენეთ, რომ ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

ირმა შველიძე,
საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი

საჭიროა თუ არა ასაკისათვის შეუფერებელი ტვირთი?

5 წლის მოსწავლე და სირთულეები

5 წლის ასაკის ბავშვებზე ძალიან ხშირად გაგვიგონია გამოცდილი, ასაკიანი თუ ახალგაზრდა, მაგრამ კომპეტენტური, ზომიერი სენტიმენტების მქონე ადამიანებისაგან: – „რატომ მიგეყავთ ასეთი პატარა სკოლაში, რატომ აწვალებთ, რატომ ტვირთავთ ასაკისათვის შეუფერებელი ტვირთით?.. დაე, თამაშის ასაკში ითამაშონ. მიეცით დრო, დაათვალიერონ სამყარო და მიეჩვივნენ ადამიანურ ურთიერთობებს!

5 წლის ბავშვის სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა, ადამიანური განცდების გათვლა, უფაქიზეს სუბსტანციებთან წვდომა.

ამ ასაკის ბავშვი დამოუკიდებლად განახორციელებს თავის ჩანაფიქრს თამაშში, ხატვაში... ფლობს გარკვეულ უნარებსა და ჩვევებს, მაგრამ მისთვის უფრო მარტივია მხოლოდ საინტერესოსა და მიმზიდველის, ამავე დროს მარტივად შესასრულებელი მიზნისაკენ სვლა. 5 წლის ბავშვს აქვს უნარი – მოიქცეს შეგნებულად და ერთი სურვილი მეორეს დაუქვემდებაროს, მაგრამ ეს პროცესი მისთვის საოცრად დამქანცველია. ფსიქოლოგები გვთავაზობენ თამაშით სწავლებას. თამაში ხომ უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე;

გარდა ამისა, იგი ეცნობა მოზრდილთა ქცევასა და ურთიერთობებს, იძენს ძირითად ჩვევებს და თანმიმდევრულად, თამაშის ქცევაში ჩამოყალიბებას იწყებს სასწავლო მოქმედებაც... თუმცა, ამ ასაკში თამაში სასურველია თავისუფალ გარემოში, დროში შეუზღუდავად, აკრძალვების გარეშე, ვგულისხმობთ, რაღა თქმა უნდა, მერხთან ჯდომის წესებს; კლასში, დერეფანში, უფროსებთან, თანატოლებთან მოქცევის საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს... და ისიც გავითვალისწინოთ, რომ ქცევის საკლასო კოდექსის ჩამოყალიბებაში თავად მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა!

ფსიქოლოგები ძალიან საინტერესოდ საუბრობენ აღქმის პროცესზე: 5 წლის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ხატვა, სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა, ძერწვა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა და ა.შ.

გამოცდილება კი სულ სხვა რამეს გვეუბნება: სურათების აღწერა, ნახატების მიხედვით ამბის შეთხზვა, მოტორული უნარების განვითარების პროცესი ხშირად 7 წლის ბავშვისთვისაც კი ურთულეს გადასალახავ პრობლემად, დროში საკმაოდ გაწელილ მტკივნეულ საკითხად რჩება.

5 წლის ბავშვის ყურადღება – უშუალო ინტერესითა და ემოციით წარიმართება. პარალელურად, დაწყებითი კლასების პირველ საფეხურზე, შემოთავაზებული სასწავლო ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი, მრავლისმომცველი, შემეცნებითად საკმაოდ ტევადი მასალა – ყურადღების კონცენტრაციის გაცილებით მაღალ უნარებს მოითხოვს, ვიდრე ის 5 წლის ასაკის ბავშვის შესაძლებლობებშია თავმოყრილი.

რაც შეეხება მეხსიერებას – განმარტებათა და აღწერათა, ასევე წესების დამახსოვრება 5 წლის ბავშვისთვის ძალზე რთულია. ამ დროს მასწავლებელმა ალბათ ძალიან ბევრი თვალსაჩინოება უნდა გამოიყენოს სასურველ შედეგზე გასასვლელად. სწავლის პროცესი ვერ შეუწყობს ხელს ამ უნარის ეფექტურად განვითარებას 5 წლის ბავშვში, როდესაც მას 1 და 2 წლით უფროს ბავშვებთან ერთად უწევს საგაკვეთილო პროცესის მსვლელობაზე თვალყურის დევნება და როდესაც აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებისათვის მასწავლებელი 6 და 7 წლის ბავშვის შესაძლებლობებზე გათვლით ირჩევს მეთოდებს!

5 წლის ბავშვის ლოგიკური აზროვნება და ლოგიკური მეხსიერება მხოლოდ მისთვის გასაგები შინაარსის მასალას მიესადაგება. ოდნავ რთული და უფრო რთული მასალა კი მხოლოდ და მხოლოდ მერქანიკურ დამახსოვრებას ექვემდებარება... და ამ დროს, როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი?.. მეხსიერებისა და აზროვნების განმავითარებელი სავარჯიშოები როგორ გადაანაწილოს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეზე 35 წუთიანი გაკვეთილის მსვლელობისას, სხვა უნარების განვითარებაზე, ორიენტირებული აქტივობების პარალელურად, თამაშ-თამაშით, ამავე დროს?

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ სხვადასხვა სასწავლო ამოცანის გადაწყვეტისას, სასურველია გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობის ფორმები. ამ დროს 5 წლის ბავშვს განსაკუთრებით უნდა შეეწყოს ხელი გააქტიურებისათვის, ავამაღლოთ მოტივაცია დამოუკიდებელი აზროვნებისათვის და მოქმედებისათვის. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე: „რატომ“, „რისთვის“, „როდის“ 5 წლის ასაკში მყოფი ბავშვების უმრავლესობას თავად შეკითხვის არსის გაგება უჭირს.

ნუ იფიქრებთ, რომ ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ასე ხდება და სიტუაცია ასეთი დრამატულია. არა! არის იშვიათი გამონაკლისები, როდესაც 5 წლის ბავშმა, მაგალითად, არაჩვეულებრივად დაძლია სასწავლო პროგრამა ყველა კუთხით, იყო თითით საჩვენებელი, მაგალითი უფროსი მოსწავლეებისათვისაც კი, გამოავლინა თანაბარი შესაძლებლობები ყურადღების კონცენტრაციის, ლოგიკური აზროვნების, წაკითხული მასალის აღქმის, ვიზუალური მასალის აღქმის, მეტყველების დროს სიტყვათა სიზუსტის, მასალის საკუთარი ლექსიკით გადმოცემის და ასე შემდეგ კუთხით.

მიგვაჩნია, რომ უკეთესია, სასურველია 5 წლის ბავშვი დარჩეს საბავშვო ბაღში, მით უმეტეს, რომ სწორედ იქ ხდება წინასაანბანო პერიოდის გავლა.

მარიანა შიოშვილი,
თამარ მედულაშვილი,
ასმათ ალიხანიშვილი,
საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგები.

საპილოტე პროექტი, რომელმაც ყველა თაობაში სიხარული გამოიწვია

17 თებერვალს საგარეჯოს IV საჯარო სკოლის სააქტო დარბაზმა იმ გულანთებულ მამულიშვილებს უმასპინძლა, რომელთაც უდიდესი სიხარულით მიიღეს და განიხილეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო განყოფილების სპეციალისტის, პედაგოგიკის დოქტორ დალი აბაშიძის საპილოტე პროექტი „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“. როგორც პროექტის ავტორმა აღნიშნა – კულტურული მემკვიდრეობა თითოეული ჩვენთაგანის კუთვნილებაა, ჩვენი მამა-პაპისგან დანატოვარი საგანძურია თაობიდან თაობაზე გადასაცემად და რაიმე ღირებულს თუ ვერ შევმატებთ, ვუპატრონოთ და გადავარჩინოთ მაინც. მთავრობის მზაობას, რაც შეიძლება დიდი თანხები მოახმაროს კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა-რეაბილიტაციის საქმეს, ჩვენი წილი მოვალეობით უნდა ვუპასუხოთ. ჩვენი საპილოტე პროექტის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობას სკოლის მერხიდანვე ჩავუნერგოთ განცდა იმისა, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ქართული კულტურის, სულიერების, ჩვენი დიდი წარსულის სავიზიტო ბარათია, რასაც სათანადოდ გაფრთხილება და პატრონობა სჭირდება.

პროექტი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათისაა და ემსახურება კახეთის მხარეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მეცნიერული, ლიტერატურული თუ ისტორიული და ზეპირსიტყვიერი მასალების შესწავლა გაცნობიერებას, ასევე, საკონკურსო ტურების ორგანიზებას – ჩატარდება ვიქტორინები, გამოვა სპეციალური საგაზეთო ნომრები, შეიქმნება ჩანახატები, ნახატები, ფოტოები, სარეკლამო ვიდეორგოლები. საინტერესო იქნება საზაფხულო სასკოლო ბანაკების ფორმირება, რომელშიც მოხალისე, ნებაყოფლობით გაერთიანებული უფროსკლასელები იქნებიან. ისინი არა მარტო საფუძვლიანად შეისწავლიან ძეგლის ისტორიას, ამასთანავე, რეგულარულად დაასუფთავებენ და მოაწესრიგებენ ძეგლის ტერიტორიას. არც ის იქნება ურიგო, თუ ისინი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესშიც ჩაერთვებიან.

ამავე პროექტით გათვალისწინებულია გრემის „მუზეუმ-ნაკრძალის“ ტერიტორიაზე ბავშვთა არქეოლოგიური პროგრამის ამოქმედებას.

აღნიშნული პროექტის განხორციელება მოხდება კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კახეთის მხარის რწმუნებულის ადმინისტრაციის ერთობლივი მონაწილეობით, განათლების სამინისტროს და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით.

პროექტი ორწლიანია და მოიცავს 2015 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 1 მარტამდე პერიოდს.

და რაც მთავარია, საკონკურსო ტურებში გამარჯვებულ მოსწავლეთა შემადგენლობიდან შეიქმნება სარეიტინგო საბჭო და კონკურსში გამარჯვებული მასალების საფუძველზე გამოიცემა კრებული „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“.

პროექტის განხორციელება კახეთის მხარიდან იწყება, რადგან ის უნდა გახდეს სტიმული საქართველოს რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და შენარჩუნების საქმეში მასობრივად მოზიდვისათვის. ამასთან კახეთი ერთობ მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით, რომელთა დაწვრილებით, მთელი სიზუსტით გაცნობა და შესწავლა აუცილებლობას წარმოადგენს – არ უნდა დაიკარგოს არც ერთი ისტორიულ-კულტურული ღირებულების არც ერთი ძეგლი.

პროექტის გაცნობის შემდეგ აზრი გამოთქვეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორმა მანანა ცუცქირიძემ, წყაროსთავის წმ. იოაკიმესა და წმ. ანას სახელობის ტაძრის მოძღვარმა მღვდელმა ვახტანგ მჭედლიშვილმა, საგარეჯოს I საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მარინა გულისაშვილმა, იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა დალი ოსეფაშვილმა, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დირექტორმა ნელი ბალახაშვილმა, საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ილია კურდღელაშვილმა და ამასთან, ქალბატონმა დალი აბაშიძემ მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

დარბაზში საგარეჯოს 26-ვე საჯარო სკოლის წარმომადგენლები საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, რომელთაც სიხარულთან ერთად აღფრთოვანება ვერ დამალეს, ეს შეხვედრა და პროექტი ხომ საშვილიშვილო და მართლაც საქვეყნო საქმისთვის მზადების ტოლფასი იყო.

მაშ, ასე, პროექტ „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სკოლების VII-XII კლასელებს.

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო“...

ჩარგალელი გაბუნდეანი

დასასრული

– არის თუ არა დღევანდელი ჟურნალისტი შესაბამისად მომზადებული იმ მიმართულებით, რომ სრულყოფილად დაიცვას ქართული ენის სიწმინდე?

ე.ხ.: – ზოგადად ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ ჟურნალისტთა სპექტრი ძალიან დიდია. პრესაში უფრო ცდილობენ ენის დაცვას. სამწუხაროდ, ტელევიზია ამ მხრივ უფრო „სცოდავს“.

ვ.ს: – ზოგადად ძალიან ბუნდოვანია, რას ნიშნავს ქართული ენის სიწმინდე. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს განათლების საკითხთან, მის დეფიციტთან. ცალკე ენა როგორ უნდა დავიცვათ – მე კონკრეტული კრიტერიუმები არ მაქვს. მე ჩემს თავს ვუყენებ მოთხოვნას, რომ პატივი ვცე მაყურებელს, სწორად გავაგებინო რისი თქმა მინდა და აუცილებლად არ მიმაჩნია, რომ ეს შესრულდეს სალიტერატურო ენაზე. ერთი რამ ცხადია – ბევრი შეცდომა ისმის ტელეეკრანიდან, საგაზეთო ფურცლებიდან და ა.შ. არა მარტო მასმედიის წარმომადგენლები, პოლიტიკოსების ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენ. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ჟურნალისტიკის დონე ხშირად ეჭვქვეშ დგება და სწორედ აქედან გამომდინარეობს თქვენი შეკითხვის არსიც.

ბ.შ: – დღევანდელი ჟურნალისტი ძალიან ხშირ შემთხვევაში ნამდვილად არ არის მომზადებული. ყველაზე ამას ვერ ვიტყვი, რადგან არიან გამორჩეულები, რომლებიც სუფთად წერენ. უახლოესი ისტორიიდან მახსოვს ერთი პერიოდი, როცა ოფიციალურად გაცხადდა, რომ დაისჯებოდნენ ის ჟურნალისტები, ვინც გამართულად არ დაწერდნენ. სამწუხაროდ, ამაზე ბევრმა გაიცინა კიდეც. მე არ ვარ იმის მომხრე, რომ ვინმე დაისაჯოს, მაგრამ იმის მომხრე კი ვარ, რომ ვინმემ საჯაროდ გამოთქვას საყვედური თუნდაც ჩემს მიმართ, ჩემი კოლეგების მიმართ და ა.შ.

– თანამედროვე ქართველი ჟურნალისტი განათლებულია?

ე.ხ: – ეს საკითხი ძალიან ინდივიდუალურია. პასუხის დაკონკრეტება მიჭირს. შეიძლება შეგეხვდეს სიუჟეტი ან სტატია, სადაც დავინახავთ, რომ ჟურნალისტს ამ სფეროში აკლია განათლება და შეიძლება ნახო სტატია, რომელიც ძალიან კარგად არის მომზადებული.

ვ.ს: – ზოგადად გამიჭირდება თქმა. არიან განათლებული, არიან ნაკლებგანათლებულები, არიან გაუნათლებლები.

ბ.შ: – აქ უფლებას დავიტოვებ, რომ პასუხისაგან თავი შევიკავო.

– რა სახის შეცდომებს უშვებენ ჟურნალისტები პროფესიული მოღვაწეობისას?

ე.ხ: – ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული შეცდომაა საზოგადოებისათვის გადაუმოწმებელი ინფორმაციის მიწოდება. ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ ესა თუ ის ამოცანა ზერელედ არის შესრულებული.

ვ.ს: – ყველანაირ შეცდომას უშვებენ! საერთოდ, შეცდომა ტრაგედია არ არის. უბრალოდ მისი სწორად დანახვა უნდა შეგვეძლოს. ასევე, თუ საჭიროა, ბოდიშის მოხდაც და ამ შეცდომის გამოსწორებაც უნდა შეგვეძლოს.

ბ.შ: – ჟურნალისტურ მოღვაწეობაში შეცდომები ძალიან ბევრია, მაგრამ მას გარკვეული მიზეზებიც აქვს. შეიძლება ასე განვმარტოთ: – მედია აკეთებს იმას, რა მოთხოვნასაც აკეთებს საზოგადოება. როცა უკეთესს ვერ აკეთებ, მაშინ ქმნი ილუზიას, რომ ეს აზრი საზოგადოებისთვის მისაღებია და ამით ამართლებ შენს შეცდომებსაც. მედიას შეუძლია განათლება მისცეს საზოგადოებას, ასევე შეუძლია ის დაამახინჯოს, დააქვეითოს და ა.შ. ამიტომ მედიის როლი უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე ეს თავად მას მიაჩნია.

– რომელ გრამატიკულ შეცდომებს გამოკვეთდით?

ე.ხ: – საკმაოდ ბევრს. თუმცა ყურადღებას გავამახვილებდი რამდენიმეზე. მაგალითად, სატელევიზიო ჩართვებში ძალიან ხშირად ამბობენ სიტყვებს: „გამარჯობათ“, „ბოდიშით“, შემხვედრია სიტყვა „ინაგურაციაც“, უმრავლეს შემთხვევაში ამის მიზეზი შესაბამისი ტერმინოლოგიის არცოდნაა.

ვ.ს: – ძალიან ხშირად გამოიყენება სიტყვა „ფაქტიურად“, ეს შეცდომაა და უნდა იყოს „ფაქტობრივად“. შეცდომაა ასევე „განვაგრძობთ გამოშვებას“. საპროტესტო აქციის მონაწილეებზე ხშირად უთქვამთ სიტყვა „პროტესტანტები“. ასევე არ იციან „მცხოვრებისა“ და „მაცხოვრებლის“ მნიშვნელობა. მაგალითად თბილისის „მაცხოვრებელი“ ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ვინმეს აცხოვრებს სადმე. „მცხოვრები“ კი ნიშნავს ცხოვრებას იმ ქალაქში. შეცდომა ძალიან ბევრია. სამწუხაროდ, ეს პრობლემა გაუნათლებლობასთან არის დაკავშირებული.

ბ.შ: – მეტყველების დროს ხშირად შეცდომითაა წარმოდგენილი სიტყვათა წყობა. ასევე, ხშირად არ არსებობს კავშირები წინადადებებს შორის ერთი აზრიდან მეორეში გადასვლისას. განსაკუთრებით რთულია ეს რადიოგადაცემების მსვლელობის დროს.

– რომელ გადაცემაში ხდება უფრო მეტი შეცდომა – პირდაპირი ეთერის, საავტორო გადაცემის თუ სიუჟეტის წაყვანისას?

ე.ხ: – უფრო მეტი შეცდომა პირდაპირი ეთერისას ხდება.

ვ.ს: – უფრო მეტი პირდაპირი ეთერისას, იმიტომ, რომ მაშინ უფრო სპონტანურად ვითარდება ყველაფერი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი – შეცდომა არ არის ტრაგედია. მთავარია დავინახოთ ეს შეცდომა და მალევე გამოვასწოროთ.

ბ.შ: – შეცდომა უფრო ხშირია, როდესაც პირდაპირი ეთერია. პირდაპირ ეთერში ფიქრობ როგორც შინაარსობრივ მხარეზე, ასევე სხვა საკითხებზე: ადამიანებზე, რეჟისორზე, ასისტენტზე და ა.შ. ეს ძალიან რთული პროფესიაა და ამ მხრივ გასაკრიტიკებლად მედია ძალიან იოლი სამიზნეა. მე ხშირად არ ვაკრიტიკებ არც ჩემს თავს და არც მედიას. თუმცა სჯობია, რომ შეცდომები მალევე გამოვასწოროთ.

– თქვენ თუ დაგიშვიათ შეცდომა, რომელს გაიხსენებდით?

ე.ხ: – ჩემი რომელიმე მასშტაბური შეცდომა ასე არ მახსოვს, მაგრამ ჩემთვის პრობლემურია ის, რომ ხშირად ვიყენებ/: „ნუ“ და „ასე შემდეგ“.

ვ.ს: – შეცდომები მეც დამიშვია, რადგან უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, მით უმეტეს, როდესაც გრამატიკაზეა საუბარი. ეხლა არ მახსენდება, რომელი შეცდომა დამიშვია, მაგრამ ქართულ გრამატიკას ვფლობ იმ დონემდე, რომ უხეში შეცდომები არ დავუშვა. მე ვიცი, რომელია სწორი ფორმა და რომელი – არასწორი. დარწმუნებული ვარ, აკაკი შანიძესაც ჰქონდა შეცდომები მეტყველების დროს, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, კიდევ ერთხელ ვამბობ. ერთი რამ ცხადია: – ვისაც არ უსწავლია, ალბათ, უფრო ხშირად უშვებს შეცდომას.

ბ.შ: – ძალიან ბევრი!ეხლა ასე კონკრეტულად არ მახსოვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, დამიშვია და დღესაც ვუშვებ.

– რომელი ჟურნალისტი მიგაჩნიათ ყველაზე კარგ „ქართულად მოსაუბრედ“?

ე.ხ: – ალეკო ელისაშვილი

ვ.ს: – არ ვიცი რა კუთხით! ჩემს კოლეგებზე არ მიფიქრია. ვერც იმას ვიტყვი, რომ მე ვარ ყველაზე კარგი მექართულე და ვერც იმას, თუ ვინმე სხვაა.

ბ.შ. – პოლიტიკოსებზე რომ გეკითხათ, უფრო გიპასუხებდით. ესენი არიან ნინო ბურჯანაძე და ლევან ბერძენიშვილი. კარგი ქართულით მოსაუბრე ჟურნალისტების დასახელება კი ცოტა გამიჭირდება.

– რესპოდენტის რომელი კატეგორია უშვებს ყველაზე მეტ შეცდომას?

ე.ხ: – ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ ეწყინებათ!

ვ.ს: – ყველაზე უფრო ხშირად სცდებიან პოლიტიკოსები. პროფესიების მიხედვითაც, უფრო ხშირად სწორედ პოლიტიკოსები უშვებენ შეცდომებს.

ბ.შ: – პოლიტიკოსები! იმიტომ, რომ ცდილობენ ძალიან ბევრი ინფორმაცია მოგვაწოდონ. ამ დროს კი, რაც ბევრს ლაპარაკობენ, მით მეტ შეცდომას უშვებენ.

– ტელევიზიის მენეჯმენტში არსებობს თუ არა რაიმე სახის მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ენის სიწმინდეზეა პასუხისმგებელი?

ე.ხ: – მე რამდენადაც ვიცი, არა! ყველა გადაცემას ჰყავს რედაქტორი. ჩემს შემთხვევაში არის რედაქტორი, რომელიც ფილოლოგია და ტექსტებს ამოწმებს.

ვ.ს: – სტრუქტურული ერთეული არ არსებობს. ადრე ტელევიზიაში მუშაობდნენ სტილისტები, რომლებიც ტექსტს ეთერში გასვლამდე კითხულობდნენ და ახდენდნენ მის კორექტირებას. დღეს საინფორმაციო გადაცემაში არ არის ამის დრო და ფუფუნება. აქ ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჟურნალისტმა თავად უნდა აგოს პასუხი საკუთარ ტექსტზე, ნასწავლი უნდა ჰქონდეს იგი.

ბ.შ: – ტელევიზიაში ასეთი ერთეული არ მოქმედებს. არსებობს „ბორდი“, რომელიც ტელეკომპანიას აკონტროლებს, ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ მეტ-ნაკლებად იყოს დაცული ქართულიც. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში მის მიერ ინფორმაციის ობიექტურობის ხარისხზე უფრო მეტად კეთდება აქცენტი, ვიდრე ქართულზე. ადრე სტილისტები ამოწმებდნენ ტექსტებს, დღეს ისინი აღარ არიან. არსებობს მხოლოდ პროდიუსერი, რომელიც იბარებს შინაარსობრივ მხარეს – იქვე შეუძლია შეგიმოწმოს.

– როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საზოგადოება მზად იმისათვის, რომ შეამჩნიოს, გააანალიზოს ან გააპროტესტოს მასმედიის მიერ ქართული ენის მხრივ დაშვებული შეცდომები?

ე.ხ: – გარკვეულწილად მზადაა, რადგან ადამიანები წერენ ამ სტატიებს, აქტიურობენ ცალკეული ორგანიზაციებიც.

ვ.ს: – მე ვფიქრობ, რომ ქართველმა ხალხმა იცის ქართული ენა. ხვდება, სად იყო დაშვებული შეცდომა და სად – არა.. უკეთესი შედეგისათვის ეს უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ქართველებმა უნდა ისწავლონ, როგორ იმეტყველონ ქართულ ენაზე.

ბ.შ: – მე ერთი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ: – საფრანგეთის ერთ-ერთმა წამყვანმა ჟურნალისტმა საუკეთესო რეპორტაჟი გააკეთა ჩინეთის პროვინციაში არსებული ვითარების შესახებ. სიუჟეტის ეთერში გასვლისას მან არასწორად გამოთქვა ერთი ფრანგული სიტყვა, რომელსაც ორაზროვანი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ეს სიტყვა არ აპატია მას მაყურებელმა.

საქართველოში ამის პრაქტიკა არ არის. მაყურებლისათვის მთავარია ვინმე რამე ამბავს მოყვეს, მაგრამ რანაირად ყვება, ამას მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ცნობილი ტელეწამყვანები საერთოდ ვერ აკონტროლებენ, როგორი ქართულით საუბრობენ. მიმაჩნია, რომ მეტყველებაში გრამატიკის დაცვა და აზრის სწორი გადმოცემა არის აქცენტებით გადმოცემა. აქცენტი მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომელ ფრაზაში რა სიტყვაზე იყვირებ. აქცენტი კეთდება იქ, სადაც გამართულია წინადადება. მეც მინდა, რომ საზოგადოებამ ამაზე ილაპარაკოს, მიმითითოს და მირჩიოს რამე.

– თქვენი აზრით, რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს მასმედიაში, რომ ადმოიფხვრას გრამატიკული შეცდომების, ბარბარიზმებისა და ე.წ „სლენგის“ გამოყენება?

ე.ხ: – ეს პირველ რიგში, კადრების მიღების დროს უნდა გაითვალისწინონ. ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტზე თუ ვისაუბრებთ, პირველ რიგში მას უნდა ჰქონდეს განათლება და წერა იცოდეს.

ვ.ს: – უკვე ტელევიზიაში ასეთი ღონისძიებების გატარებას აზრი არა აქვს. ტელევიზიას ერთადერთი რამ შეუძლია: – დაიქირავოს ისეთი ჟურნალისტები, რომლებმაც შესაბამისად იციან ქართული ენა.

ბ.შ: – მიმაჩნია, რომ ჟურნალისტს ჯერ შენიშვნა უნდა მისცე და შემდეგ უკვე სხვა სახის ღონისძიება გაატარო. საერთოდ კი, ჯობია საქმე იმ ადამიანმა აკეთოს, ვინც ამ საქმის სპეციალისტია.

– თქვენ რომ ქართულის მასწავლებელი იყოთ, რას შეცვლიდით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში?

ე.ხ: – სამწუხაროდ, მე ვიყავი ქართულის მასწავლებელი და რომ ვედარაფერი შევცვალე, ამიტომაც აღარ ვმოღვაწეობ ამ სფეროში.

ვ.ს: – მე როდესაც ვსწავლობდი სკოლაში, მქონდა ჩემი მოსაზრება, ამ საკითხზე ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ნაწარმოები ძალიან ადრე ისწავლება და ეს იწვევს უკურეაქციას მოსწავლეებში. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა კარგად აუხსნან მოსწავლეებს – უფრო ინტერაქტიული იყოს ეს ყველაფერი, უფრო მეტი საშუალება ჰქონდეს, რომ დიალოგის რეჟიმში წარიმართოს გაკვეთილი და არა მონოლოგის. ჩემი აზრით უფრო მეტი შეკითხვა, უფრო მეტი პასუხი და კონცენტრირება იყო ხოლმე შინაარსზე. ლექსის დამახსოვრება კარგია, ერთის მხრივ მახსოვრობის განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ მეორეს მხრივ მთავარი მაინც შინაარსია. მასწავლებელი და მოსწავლე უფრო მეტს უნდა საუბრობდეს ერთმანეთში. ეს არის და ეს.

ბ.შ: – დიდ ყურადღებას დავუთმობდი სკოლაში მართლწერას, თუნდაც 20 წუთი გრამატიკის გაკვეთილის ბოლოში. ძალიან კარგი იქნებოდა მართლწერა. მაგალითად, ჩემთან სახლში, როცა ჩემი შვილი დავალებას წერს, მას მეც ვეხმარები. ეს იმიტომ გამომდის, რომ მე ამ სფეროში ვმუშაობ. ჩვენ ამას ვაქცევთ ყურადღებას. გვინდა, რომ სწორად იმეტყველოს, სწორი მეტყველება ნიშნავს ტექსტის სწორად დაწერას და პირიქით.

– რას ურჩევდით საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ხვალ შეიძლება უეცრად რესპოდენტი გახდეს?

ე.ხ: – ვურჩევდი, რომ ისაუბრონ მოკლედ.

ვ.ს: – როდესაც მას მიკროფონს მიუშვერენ და კამერას ჩართავენ, შეძლოს თავისი აზრის სწორად გადმოცემა და იმის თქმა, რისი მიწოდებაც უნდა დანარჩენი საზოგადოებისათვის. ენის ფუნქციაც ეს არის – ინფორმაციის გაცვლა, აზრის ჩამოყალიბება და შემდეგ ამ აზრის გადაცემა სიტყვების საშუალებით.

ბ.შ: – მე ვურჩევდი მოკლედ, სხარტად მოყვეს იმას, რისი თქმაც უნდა. ქართველი რესპოდენტის ხასიათში დევს ერთი უცნაური თვისება: ჯერ გიყვება და მერე გიხსნის – რა მოყვა. ამიტომ სჯობია მოკლედ, კონკრეტულად, დალაგებულად მოგვაწოდონ ინფორმაცია, რათა არც ჩვენ ვიწვალოთ და არც მაყურებელი გავაწვალოთ.

* * *

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტებთან ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხში ჩემი პირველი ჟურნალისტური გამოძიება შედგა.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ იყო კორესპონდენტი – ეს არც თუ ისე ადვილი ყოფილა. ყოველთვის მეგონა, რომ პასუხის გაცემა უფრო ძნელია, ვიდრე კითხვის დასმა. რესპოდენტებისთვის კითხვების დასმისას უპირატესი თავისუფლება ვერ ვიგრძენი, რადგან გაცილებით მეტი იყო იმ პასუხისმგებლობის შეგრძნება, თუ რას ეკითხები, რამდენად პროფესიულია ეს შეკითხვა, როგორ გააანალიზებ მიღებულ პასუხს შემდეგ შეკითხვამდე.

რაც შეეხება ძირითად თემას, პროფესიონალ ჟურნალისტებთან ჩემი სამივე ინტერვიუ ცხადყოფს, რომ პრობლემა, თავისთავად პრობლემად დარჩა, თუმცა არსებობს მისი გადაჭრის გზებიც, თუ ყოველი ჩვენგანი გაიაზრებს, რა საშიშროებას ქმნის ჩვენი ქვეყნისთვის ენის წახდენა და იზრუნებს ენის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ეს იქნება ჩვენი ეროვნულობის სამომავლო შენარჩუნების მთავარი გარანტი.

მართლმადიდებლობა

დიდმარხვა_

სულიერი სიხარულის დაბადების დრო

„მარხვა არ არის რაღაც დამოუკიდებელი სათნოება. ის არ არის თავმდაბლობა, მაგრამ გვეხმარება, რომ გავაღვიძოთ თავმდაბლობა, მორჩილება. მარხვა არ არის უბიწოება და სისუფთავე. მაგრამ ადამიანს ეხმარება ამ სათნოების მიღწევაში. ასე შეიძლება გავიგოთ წმინდა იოანე კასიანეს სიტყვები: „ჩვენ არ ვამყარებთ იმედს მარტო მარხვაზე. ის არ არის თავისთავად სიკეთე, ანდა თავისთავად აუცილებელი. ის გვეხმარება, რომ გავხადოთ ჩვენი გული და სხეული სუფთა“.

ასე, რომ მარხვის მიზანია სხეულის თვითგვემა და მორჩილება ადამიანის არსებობის უმაღლეს ნაწილთან – სულთან. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მარხვა არის დაწესებული ყველასთვის. ე.ი. ის არის საჭირო ბერებისთვის, ერისკაცთათვის, მეფეთათვის, ღარიბთათვის, დიდებისთვის, ბავშვებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს არასასურველ ვალდებულებებს, ანდა სასჯელს – იგი ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ყოველი ადამიანის სულის გადარჩენის საშუალება, თავისებური ექიმობა – მარხვა ყველას უნდა, რომ გადარჩეს.

ეკლესია განსაკუთრებით დიდმარხვაში ურჩევს ქრისტიანთ – საკუთარი თავი გაისწორონ და სრულ-ჰყონ. ბოროტნი მიდრეკილობანი მოიკვეთონ, მოიშორონ, კეთილი თვისებები შეიძინონ, სახარებაში ნაჩვენები სათნოებანი აღასრულონ, რათა ამით შეუერთდნენ ღმერთსა და ცხონება-ბედნიერება მოიპოვონ. თუ ამას ვერ შევძლებთ, ის მაინც უნდა ვქნათ, რომ გვქონდეს ცხოველი, წრფელი შეგნება ჩვენი ცოდვიანობის, უღირსობისა და ამის გამო, უნდა ვიყვნეთ გარემომცველნი ღრმა მწუხარებით და გულმხურვალედ ვამბობდეთ: „ღმერთო, გვილხინე ჩვენ ცოდვილთა!“ თითოეული ჩვენგანი ყველას თავის თავზე მაღლა უნდა აყენებდეს; არასოდეს უნდა თქვას, რომ ის სხვას რითიმე ჯობია. თუ ასე მაინც მოვიქცევით, მაშინ, იმედია, ყოვლადსახიერი ღმერთი არ დაგვტოვებს უმოწყალოდ. მოგვფენს მხიარულების ნათელს“.

დავით ეპისკოპოსი.

1920 წელს ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებიდან

გამოსათხოვარი

თენგიზ ივანელაშვილი

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით თავისდაუნებურად იმ საზოგადოების დაინტერესებას იწყებენ, რომელშიც ცხოვრობს, მოდვაწეობს ტრიალებს. ასეთი პიროვნება იყო საგარეჯოელი თენგიზ ივანელაშვილი – მშრომელი, კომუნიკაბელური, ყურადღებიანი, კაცთმოყვარე, ხელოვნებაზე შეყვარებული კაცი. გასული საუკუნის 50-იან წლებში მან თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა სოფელ გიორგიწმინდის კლუბის გამგედ დაიწყო, პარალელურად საგარეჯოს სახალხო თეატრშიც მოღვაწეობდა. პირველი სპექტაკლი, რომელშიც მან გლეხის როლი შეასრულა, იყო სიმონ მთვარაძის „სურამის ციხე“. შემდეგ კი მან მრავალი საინტერესო სახე შექმნა. სულ 17 სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. მის მიერ შექმნილი სახეები მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა.. ბოლოს კი მის მიერ შესრულებული მილიციის უფროსის როლი იყო ალ. ჩხაიძის პიესა „როცა ქალაქს სძინავს“. ეს უკვე 1985-1986 წლის თეატრალური სეზონი იყო.

1975 წლიდან თენგიზ ივანელაშვილი საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა მომღერალ გუნდ „გარეჯში“ ჩაირიცხა. მან, თავის თანაგუნდელებთან ერთად იმოგზაურა სსრკ-სა და ევროპის მრავალ ქვეყანაში გასტროლებზე, სადაც მსმენელს ქართული ხალხური სიმღერის სილამაზე აგრძნობინეს.

ხელოვნების სამსახურში მყოფი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა იმ კოლექტივის მიმართ, სადაც იგი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა მეუღლესთან, ქალბატონ ეთერისთან ერთად. იგი საგარეჯოს რაიკოოპკავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკიც იყო. და რაც მთავარია, მათ სამი ვაჟი გაუზარდეს საქართველოს. გაუზარდეს სწორედ ისეთები, როგორებიც თავად მშობლები იყვნენ – მშრომელები, ქართული ტრადიციების მიმდევარნი, ოჯახისა და საზოგადოების პატივისმცემელნი.

თენგიზ ივანელაშვილი დიდხანს ემახსოვრებათ საგარეჯოელებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის ქალაქის კოლორიტი იყო, სწორედ ისეთი, ვისაც თავის ოჯახთან ერთად შეუძლია სიყვარული და პატივისცემა გამოხატოს თანაქალაქელების, საქართველოს მიმართ. დიახ, იგი ვალმოხდილია ქვეყნისა და ოჯახის წინაშე.

თებერვლის ერთ მზიან დღეს თენგიზ ივანელაშვილი იმქვეყნის ბინადარი გახდა.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

აია „საგარეჯოს კულტურის გაერთიანება“
საგარეჯოს სახალხო თეატრი

დათო კვეზერელი

ისევ მოვიდა უშენოდ მწარე, ტკივილიანი 26 თებერვალი – შენი დაბადების დღე.

ჩემო დათუნა, 21 წელია ანთებული სანთლებით ხელში ვეფერები შენს ლამაზ სულს. ვებრძვი უშენობით გამოწვეულ ტკივილს. აკანკალებული ხელებით ვეფერები იმ ყინულიან ქვას, რომელზედაც შენი გამოსახულებაა.

ნეტავ იმ დედას, რომელიც ამ ქვეყნიდან ისე გავა, რომ ის სიმწარე, რასაც მე განვიცდი არ განუცდია და არც განაცდევინოს უფალმა არც ერთ დედას.

რა ვქნა ტკივილით ცეცხლზე დამდნარი
სანთლად როგორღა ვენთო,
მე ვიყავ დედა – ასეთ დედობას
სხვას ნუ ანახებ, ღმერთო.

შვილო, ვებრძვი უშენობით გამოწვეულ ტკივილს, რადგან ვიცი, რომ წასვლა, ისევე, როგორც დაბადება უფლის ნებაა.

მე კი ღმერთმა ჩვეულებრივი გული ალბათ რკინის გულით შემიცვალა, რომ შენს შემდეგ ამდენი ხანი ცოცხალი ვარ.

ჩემო ჩიტივით გაფრენილო ვაუკაცო, არ გსაყვედურობ, შვილო, აფხაზეთშიც გამიფრინდი ისე, რომ არ გითქვამს სახლში. არა, არ გსაყვედურობ, იმიტომ, რომ მე შეგაყვარე ჩემი და შენი ტანჯული სამშობლო.

დათო, შვილო, შენ ისეთი ტკივილი ხარ, რომ ვერაფრით ვინუგეშებ თავს. შენს მონატრებაში უნდა გავლიო მწარე წუთისოფელი. ილოცე შენი და-ძმისთვის და მათი შვილებისთვის. ისინი ყოველთვის აგინთებენ სანთელს. უფალმა გიცოცხლოს და-ძმა და ის ადამიანები, ვინც შენს სახელზე სანთელს აანთებს.

შენ და მამაშენს ამ სანთლებმა გაგინათოთ ღვთის მიერ დამკვიდრებელი სასუფეველი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი და მამაშენის სული.

ცრემლებით გილოცავ დაბადების დღეს ჩემო მონატრებულო შვილო, ოჯახის დიდო ტკივილო. ეს ტკივილი არასოდეს განელდება ტანჯული დედის გულში. მენატრება შენი ლამაზი ღიმილიანი სახე, ცისფერი თვალების სიკეთით სავსე სითბო. გაირბინა ამდენმა წელმა და არ შეჩერებულა ცრემლი და გაუნელებელი ტკივილიანი სევდა. ტკივილი დროსთან ერთად უფრო იზრდება.

ვაი, რომ ამ სინამდვილეს ვერსად გავქცეულვარ და მაინც ველოდები, ველოდები, რომ მოვალ შენთან და მოგეფერები და ჩაგეხუტები ნატყვიარ მკერდში.

შენი გამწარებული დედა

ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია

როგიზონ (რობა) როსტიაშვილი

ჩემო ძვირფასო
და ჩემო საყვარელო,
ერთი წელიწადი
უშენოდ გავლიეთ,
წელი რომელიც,
რომ საუკუნეს ჰგავდა.
ეს იმიტომ, რომ
გული ძლიერ მტკივა,
მაგრამ გულს ვინ სჩივის!
სისხლი გაჩერდა
და გული გაიყინა,
მინდა ვიყვირო, რომ ქვეყანამ გაიგოს,
როგორი მწარე არის უშენოდ სიცოცხლე.

მახსოვს ის დღე, როცა დაიბადე და დედა გაახარე ჩემო საყვარელო. ძალიან ლამაზი და ძლიერი იყავი, შვილო. ასე მეგონა, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ დადიოდა დედამიწის ზურგზე.

ნელ-ნელა იზრდებოდი. მალე სკოლაში წახვედი. მართალია, სკოლაში ძალიან კარგად არ სწავლობდი, მაგრამ ბევრი კარგი თვისება გქონდა – ყველა გულით გიყვარდა. მე მიხაროდა, რომ გულიანი კაცი იზრდებოდი, გული სიამაყით მევსებოდა. ვიცოდი, მარტო კარგი სწავლა არ იყო ადამიანისათვის მთავარი – ვაჟაცურად შეგეძლო გაგეწირა თავი შენი ამხანაგებისთვის. დაუფიქრებლად გაიხდიდი და სხვას ჩააცმევდი. შენ მშიერი დარჩებოდი, სხვას კი დააპურებდი. ეს ხომ ყველას არ შეუძლია.

გავიდა დრო. სკოლა დაამთავრე და მართლაც კარგი ადამიანი იყავი. რაც მთავარია, შრომა გიყვარდა. ვოცნებობდი, როდის დაოჯახდებოდი და შვილებს მაჩუქებდი. მინდოდა შენი შვილებით გარშემორტყმული ვყოფილიყავი, შენ კი გეფუსფუსა ოჯახში და გაბრწყინებული თვალებით გადაგეხედა შენი ცოლ-შვილისათვის.

ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა. ღმერთმა ინება, რომ ეს ბედნიერი დღეები ჩვენ არ გვქონოდა. შენ 34 წლის იყავი, როცა დამტოვე. სამუდამოდ 34 წლის დარჩი, ჩემი თავქარიანი, დასაოჯახებული კაცი, რომელიც დედას ძალიან უყვარდა.

უყვარდა-მეთქი, შვილო, წარსულში ვლაპარაკობ შენზე და გული სიმწრით მეწვის. მეშინია, ოცნება-ოცნებაში ჭკუაზე არ შევიშალო, მაგრამ მგონი ამასაც ვერ ვახერხებ. შენ კი ყველაფერი ერთად მოახერხე – გამექეცი, წახვედი და დამეშალე. აღარც მოდიხარ, აღარც მეძახი, აღარც მეჩხუბები და აღარც მეფერები. რა ვქნა, ძალიან უზომოდ და უაზროდ მენატრები, შვილო.

ვზივარ და გელაპარაკები ჩვეულებრივად, როგორც ვიცოდით ხოლმე და ვგრძნობ, თითქოს შენც აქვე ხარ. ხან მიცინი, ხან მეძახი, ხან შენც მელაპარაკები. ვიცი, ზოგს ეს არარეალურად მოეჩვენება, მაგრამ ასეა და რა ვქნა. მე ხომ მართლა მინდა, რომ შენთან ვიყო.

ახლა ზამთარია. იანვრის ცხრაში თოვლი მოვიდა. პირველი თოვლი იყო, როცა ჩვენ ერთად არ ვიყავით. შენს ეზოს რომ გაასუფთავებდი, მერე შენს დისშვილთან მოდიოდი. როგორც დაგინახავდა, ნუცაც სიცილ-კისკისით გარეთ გარბოდა და შენც მისდევდი. აკეთებდით თოვლის პაპას და მერე ციგაობას იწყებდით. მეც იქვე ვიდექი, ვადევნებდი თვალს თქვენს ფუსფუსს, თან ვჩხუბობდი, არ გაცივდეთ, შემოდით-მეთქი და თან მიხაროდა თქვენს გაბრწყინებულ სახეებს რომ ვხედავდი.

ახლა, როცა თოვლი დავინახე, გული სიცარიელით ამევსო და თვალებზე ცრემლი მომადგა. გამახსენდა შენი ფუსფუსი ნუციკოსთან.

ვიცი, ნუციკოს ძალიან აკლიხარ, მაგრამ ამ საკითხზე ლაპარაკს გაურბის. ახლა კი, როცა თოვლი დაინახა, ცრემლები მანაც ვერ შეიკავა, არც თოვლის პაპა გაუკეთებია და არც ციგა აუღია. მარტო დავსხედით და შენზე ვილაპარაკეთ.

თოვლი მოსულა თეთრი და კრიალა,
დაუთოვია ირგვლივ ყველაფერი,
თეთრია შენი ეზო და სახლი,
მაგრამ შენ სადა ხარ?
ვერ გხედავს დედა!
შენს ეზოს გაუწმენდავს,
ვერ ვიტან, ვერა!
არსად არ ატყვია შენი ნაკვალევი,
გული მეკუმშება და ძლიერ მეწვის.
მინდა დაგინახო თეთრი თოვლის ფონზე,
თვალებში ჩაგხედო, ძლიერ ჩაგეხუტო,
მაგრამ შენ სადა ხარ, როგორ დაგინახო?
შენი ნაკვალევი წაშლიალია ამ ქვეყნად.
ვდგევარ შენს ეზოში გარინდებული
და თვალებდახუჭული,
თვალებს გავახელ და სიცარიელეა –
თოვლზე ნაკვალევი ისევ არ ატყვია.
ვაი, რა ძნელია დედისთვის ეს ყოფა!
ვაი, რა ძნელია დედისთვის ეს დგომა!
პირველი თოვლია, ჩემო საყვარელო,
როცა ჩვენ არა ვართ ერთად,
მაგრამ ჩემო კარგო, აქ ვინ დარჩენილა?
დედაც მალე მოვა, ოცნება ახდება
და ისევ ვიქნებით ერთად.
აქ რაც დრო დაგვაკლდა და ვერ გავიხარეთ,
იქ ვიყოთ ჩვენ მუდამ, ჩვენ მუდამ ერთად.

მალე გაზაფხული მოვა. ის ავბედითი 8 მარტი, შვილო, როცა შენ ვაი დაიძახე და 9 მარტი ვერ გაათენე, რომელსაც ძალიან ელოდი. ოღონდაც გათენდეს, სახლში წავიდეთ და ყველაფერი მომირჩებაო. გათენებას ცოტაღა ეკლდა, ხელებში რომ ჩამაკვდი. ამ ხელებით აგიყვანე, როცა უსუსური გაჩნდი და ზუსტად ამ ხელებმა იგრძნო შენი უსულო სხეული. მე განუგეშებდი. სუნთქვა რომ გიჭირდა გამსკდარი ფილტვით, გეუბნებოდი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. მშვიდად მიყურებდი და გჯეროდა, მაგრამ, ვაი, რომ დედამ მოგატყუა და 9 მარტი ვერ გავათენეთ! იმიტომ რომ, დედაც იმ გარიჟრაჟზე შენთან ერთად მოკვდა. მარტო გული არ გამიჩერდა. გული მუშაობს იმიტომ, რომ რაც შეიძლება ბევრი სიმწარე იგრძნოს დედამ, რომელსაც შვილი ხელებში ჩააკვდა.

გავიდა ერთი წელი, შვილო, მაგრამ მაინც გელოდები. იმედი მაქვს, რომ კარებს შემოხსნი და დედას ჩაეხუტები. ბევრჯერ ფეხის ხმაც გამიგია და გამომიხედია, ალბათ ჩემი რობა მოვიდა – მეთქი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ტყუილი ოცნებაა გამწარებული დედისა.

ასეთი ტანჯვისა და სიცარიელის შეგრძნება დამრჩება მთელი ცხოვრება, სანამ უფალი არ მოისურვებს, რომ მეც შენთან მოვიდე. მერე კი სულ ერთად ვიქნებით. ეს იყო ალბათ შენი ბედისწერა, მაგრამ დედამ რა ქნას? როგორ შევეგუო იმ საშინელებას შვილის მონატრება რომ ჰქვია?!

შენ გაჩნდი, შვილო, ამ ქვეყანაზე,
ვიხსენებ იმ დროს და ვერ ვივიწყებ,
რა კარგი იყო ჩემთვის ის წამი,
ჩვენ რომ ერთმანეთს ვეფერებოდით.
რა ტკბილი იყო ჩვენთვის ის დღენი,
მაგრამ ახლა რომ წახვედი ჩემგან
ცრემლებმაც უკვე დაიწყეს შრობა.
გული ტკივილით გადაიღალა,
უშენოდ ისევ გათენდა დილა,
ღრუბლებით ზეცა გადაიფარა,
სამარის მიწამ ცრემლი შეიშრო.
მე შენი თავი დრომ გამაცალა.
ღმერთმა სიკვდილი შენი შეიტყო,
გრძნობებმაც, მხოლოდ ლოცვა მაცალა,
თავის მოკვლაც კი გადავიფიქრე,
რადგან მე ისევ მინდა გიხილო.
ამდენი ჭირის, გოდების შემდეგ,
მინდა კვლავ შენთან ერთად ვილხინო.
ვიცოცხლებ, თუმცა არ მიხარია,
ისევ სამარის კარზე ვიქნები.
ეს ცხოვრება ხომ წამიერია,
წამით წვიმაა, წამით ფიფქები,
წამით ღრუბლები წარმოიქმნება,
მაგრამ ბოლო ხომ, ჩვენი იქ არის
და ბოლოს ისევ ერთად ვიქნებით.

გვენატრები, უზომოდ გვენატრები მთელ შენს ოჯახს. ისდა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის.

ღმერთმა დაგიმკვიდროს წმინდა სასუფეველი!

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, შვილო რობა!

დედა

ანა ლაფერიშვილი

ჩემი ანა, ჩემი ანიკო, ბუნებით მდიდარი, სიცოცხლითა და სიკეთით სავსე, ჭეშმარიტად კეთილშობილი, საწყალი გულის მქონე ადამიანი იყო. მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე მან კარგად გამაცნო თავი, როგორც უზომოდ კეთილმა, ხათრიანმა, მორიდებულმა, სტუმართმოყვარე, შრომისმოყვარე, სხვათა შემწყნარებელმა, თავაზიანმა, მომთმენმა, ყველანაირად თავშეკავებულმა, უპრეტენზიო ადამიანმა. მას ყოველთვის ჰქონდა მომავლისადმი იმედიანი განწყობა. იყო არა მარტო ახლობლებსა და ნათესავებზე თავდადებული, ყველა გაჭირვებულის შემწე და მფარველი, ამასთან ერთად იუმორისმოყვარული, წიგნებზე შეყვარებული, ყველა დადებითი თვისებით შემკული პიროვნება.

ის საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა მშრომელ ოჯახში. შემდეგ აჭარაში შექმნა ოჯახი და ახლა ბათუმელებისათვის გახდა საყვარელი და საიმედო პიროვნება. იცხოვრა იმ ცხოვრებით, რასაც ლამაზი, აზრიანი, ხალისიანი და სხვებზე ზრუნვით გატარებული წლებით ცხოვრება ჰქვია. ბოლო წლებში კი ერთადერთი ქალიშვილის ოჯახი ბათუმში დატოვა და ისევ საგარეჯოს, მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა საცხოვრებლად. 2014 წლის 11 დეკემბრის ღრუბლიან დღეს კი სამუდამოდ მიმატოვა და იმქვეყნად გადავიდა.

არასოდეს დამავიწყდები, რადგან ჩვენი სიცოცხლის 60-ზე მეტი წელი ჩვენ ერთმანეთთან ყოფნას მივუძღვენით, ჩემო ანა, ჩემო ანიკო.

შენი მეუღლე
გივი კარანაძე-უბედურიანი

საგარეჯო. 18 თებერვალი, 2015 წელი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების“ დირექტორს, გარეჯული კულტურის, ხელოვნების, ისტორიის დიდ მოამაგესა და ქომაგს **ბესო ღვინაშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად, რომელიც არა მარტო ჩვენს რაიონს ალამაზებს თავისი შემოქმედებით, ნიჭითა და ქართული მართლმადიდებლური სულით, არამედ თამამ და ჭეშმარიტად ნიჭიერებით სავსე სიტყვას ამბობს ქართველ შემოქმედ ოჯახებთან ერთად ქართული კულტურის დაფასებასა და გამშვენიერებაში.

აიპ „საგარეჯოს კულტურის გაერთიანების“ თანამშრომლები

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის მკითხველსა და თანამდგომს **ნინო გვაგვალიას**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის მეუღლესა და ტყუპ ვაჟებთან ერთად.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით, სითბოთი და სიყვარულით გვილამაზებენ თითოეულ დღეს. სწორედ ასეთია ჩვენი მეზობელი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მარინე ყორღანაშვილი-ქვლივიძე.** მას ქართული ენის სიყვარულთან ერთად თანამოქალაქეების მოფერება და დიდი პატივისცემაც აქვს. მარტის ლამაზ დღეს, ქალთა დღეს მარინეს დაბადების დღე აქვს . ვულოცავ მას ამ დღეს და სულ სიკეთე და სიხარული, ბედნიერება ჰქონოდეს თავის ლამაზ, კეთილ ქმარ-შვილთან ერთად. უფალი გფარავდეთ.

შენი კეთილისმსურველი ზაირა

მადლობა

დიდი ბედნიერებაა სოფელში ბუნებრივი აირის შემოყვანა, მაგრამ, ჩვენი სოფლის ე.წ. „ტურის უბანში“ მისი ხაზების შემოყვანას გარკვეული სირთულეები მოჰყვა – დაზიანდა უბნის მოსახლეობის სასმელი წყლის მილი. აღნიშნული პრობლემების გამოსასწორებლად არაერთხელ მივმართეთ „სოკარ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას, მაგრამ... მოხდა ისე, რომ აღნიშნული სასმელი წყლის მილში უბნის დასაწყისშივე შევიდა მიწა, რომელმაც მთელი სისტემა წყალგაუმტარი გახადა. მთელი ზაფხულის პერიოდში წყალი არ მოგვეწოდებოდა უბანს. ასე გაგრძელდა შემდეგი თვეებიც. ჩვენი გულისტკივილი გულთან ახლოს მიიტანა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და პრობლემის მოგვარებაში თავად ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** ჩაერთო. და შედეგიც მივიღეთ. უბანს დღეს სასმელი წყალი მოეწოდება 24 საათის განმავლობაში. აღნიშნული საკითხის სწრაფად მოგვარებაში მოსახლეობას მხარში ამოუდგნენ შესაბამისი სამსახურების უფროსები გიორგი ქურდოვანიძე და თენგიზ ივანელაშვილი.

მადლობა ბ-ნ **გიორგი გზირიშვილს,** სამსახურის უფროსებს **გიორგი ქურდოვანიძეს** და **თენგიზ ივანელაშვილს** გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის.

სოფელ მანავის
ტურის უბნის მცხოვრებნი

სპორტი

მესამე ადგილი ლუკაშენკოს თასის გათამაშებიდან

თებერვლის პირველი ნახევრის მიწურულს, ბელორუსიის დედაქალაქში ჩატარდა ქვეყნის პრეზიდენტის ანატოლი ლუკაშენკოს სახელობის თასის გათამაშება ჭიდაობა სამბოში უფროსი ასაკის სამბისტებს შორის. ამ ასპარეზობაში, რომელიც მეორენაირად მსოფლიო თასის გათამაშებადაც მოიხსენიება, სხვა ქვეყნების უძლიერეს ფალავნებთან ერთად თავის ძალებს ცდიდა ჩვენი სახელოვანი ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში მანაველი ირაკლი კუპატაძე. მიუხედავად ასაკის სხვაობისა (ირაკლი ჯერ ჭაბუკების ასაკშია) ჩვენებურმა ფალავანმა ტოლი არ დაუდო თავისზე უფროს და რა თქმა უნდა, გამოცდილ მეტოქეებს და შეძლო 57 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილის დაკავება. ირაკლი კუპატაძისთვის ეს იყო პირველი მონაწილეობა უფროს ასაკში და როგორც ვხედავთ, პირველივე ცდაზე ასეთ წარმატებას მიაღწია. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს სამბისტს მომავალშიც.

I ადგილი საქართველოს ძალოვნების პირველობაზე

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის სპორტული ასპარეზობანი მანაველმა ფალავანმა ძმებმა ირაკლი და გიორგი კუპატაძეებმა საკმაოდ დიდი წარმატებებით დაიწყეს. ბელორუსიაში ირაკლი კუპატაძის მიერ ზემოხსენებული წარმატების მოპოვებამდე, კიდევ ერთი მორიგი წარმატება იზეიმა მისმა ძმამ, რომელიც ამჟამად სამხედროსავალდებულო სამსახურს გადის ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, – მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ევროპის შესაბამისი პირველობის შესარჩევ პირველობაზე ჭიდაობა ძიუდოში, სადაც შეძლო პირველი ადგილის დაკავება 60 კგ. წონით კატეგორიაში. ამ შედეგით ჩვენებური ძიუდოისტი დაყენებულია ევროპის ძალოვანთა მომავალი პირველობის კანდიდატთა შორის და ახლა ამ ასპარეზობისათვის ემზადება, რომელიც უახლოეს მომავალში ჩატარდება.

გ. დაბახიშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობა, გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს ილია სიფროშვილს ძმის

ალექსანდრე (სანდრო) სიფროშვილის

გარდაცვალების გამო.

თქვენთვის დიასახლისებო!

შოკოლადის ნუგბარი

საჭირო მასალა: 250 გრ. ფხვიერი, ქარხნული ნამცხვარი
250 გრ. კარაქი
4 სუფრის კოვზი კაკაო
1 სუფრის კოვზი შაქარი
2 სუფრის კოვზი თაფლი ან მურაბის წვენი

მინანქარი:
100 გრ. შავი შოკოლადი
40 გრ. კარაქი

მომზადება: კარაქი გავადნოთ, დავუმატოთ შაქარი, კაკაო, თაფლი, მსხვილად დატეხილი ნამცხვრები და კარგად ავურიოთ, მიღებული მასა გადავიტანოთ ოთხკუთხედ ყალიბში, კარგად დავტკეპნოთ და კარაქთან ერთად მოვათავსოთ ჯამში. ჯამი, თავის მხრივ, შემოვდგათ ქვაბზე, რომელშიც წყალი დუღს, ოღონდ მდუღარე წყალი ჯამს არ უნდა ეხებოდეს. ორთქლის აბაზანაზე გამდნარი შოკოლადი ოდნავ შევაგრილოთ და მოვასხათ გაციებულ ნამცხვარს. რამდენიმე საათით ისევ შევდგათ მაცივარში, შემდეგ კი კვადრატებად დავჭრათ.

ხაჭაპური

საჭირო მასალა: ყველი 1,300გრ
მაწონი – 1 ჭიქა
მარგარინი ან კარაქი 200 გრ.
ფქვილი – 1,300 გრ.
კვერცხი – 3 ც.
სოდა – 1 ჩაის კოვზი
მარილი – 1 ჩაის კოვზი
შაქარი – 2 ჩაის კოვზი.

გავხეხოთ სახაჭაპურე ყველი, დავამატოთ მარილი (ნაკლებობის შემთხვევაში), დავადნოთ 100 გრამი მარგარინი ან კარაქი, ცალკე ჯამში ჩავასხათ მაწონი, დავამატოთ 1 ჩ/კოვზი სოდა, 1 ჩ/კოვზი მარილი, 2 ჩ/კოვზი შაქარი. კარგად ავთქვიფოთ, ჩავახალოთ 1 კვერცხი, კარგად მოვურიოთ, ბოლოს ჩავასხათ გამდნარი მარგარინი, მოვურიოთ, ნელ-ნელა ჩავყაროთ ფქვილი და პარალელურად ვურიოთ ხის კოვზით. ცომი გასქელებამდე მოვზილოთ ხელით. შევეცადოთ ცომი არ გამაგრდეს და დავყოთ 5 გუნდად. თითოეული გუნდა გავაბრტყელოთ და ჩავდოთ ყველი. შევახვიოთ, გავაბრტყელოთ და მისი გაბრტყელება ცხელ ტაფაზე დავასრულოთ. ცეცხლი ცხობისას უნდა იყოს საშუალოზე ნაკლები. როგორც კი ერთი მხარე გამოცხვება, ამოვატრიალოთ და გამომცხვარ ზედაპირს ტაფაზევე წავუსვათ მარგარინი ან კარაქი. ამოტრიალების შემდეგ დავახუროთ თავსახური ტაფას. გამოცხობის შემდეგ გადმოვიღოთ ხაჭაპური და მეორე მხარეზეც წავუსვათ მარგარინი, ან კარაქი.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გარეჯის მაცნე

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru